№ 38

1877—1905

კვირა, 27 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 38

კვირა, 27 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

კვირას, 27 მარტს, გაიმართება დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად მთელის დასის მონაწილეობით.

სხვათა შორის, გაიმართება **ორი ჭიდაობა**. ცნობილი კავკასიელი ფალავანი **ვანო მანოელი** დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **ჯიბგირს**. ჯილდო — ვერცხლის საათი. მეორედ იჭიდავებს კავკასიურად ცნობილი ჰერკულესი-ფალავანი **რომო** ცნობილ კავკასიელ ფალავან **იოსებ მოთაშვილთან**. ჯილდო—25 მანათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა: „იყიდება საავარაკო ადგილი". დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 1—1

გამგეობა **ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა** ამით აუწყებს წევრთ ამა ამხანაგობისას, რომ მდგომარე წლის აპრილის 3 რიცხვისათვის, დილით კვირას, დილის ათ საათზე, ს. კუხში დანიშნულია

ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება

განსახილველად და დასამტკიცებლად ამხანაგობის 1903 და 1904 წ.წ ანგარიშებისა და სხვა მიმდინარე კითხვათა. 2—2

კავკასიის ერთა პოლიტიკურ ცხოვრების საკითხი.

დღეს ყველა შეგნებულმა ადამიანმა იცის, რომ თითოეულ საზოგადოებისა და კერძოდ თითოეულ ერის დაუბრკოლებლად განვითარება შეუძლებელია, თუ ხალხი მოკლებულია თვით-მართველობის უფლებას და არ შეუძლიან თავისი ცხოვრება ისე მოაწყოს, როგორც მას სწადიან და მისი არსებობის პირობებს შეეფერება. საჭიროა ფართო და დამოუკიდებელი თვით-მართველობა, რათა ხალხს არ უხდებოდეს ბრძოლა არავითარ გარეშე ხელის შემშლელ პირობებთან და შეეძლოს თავისი ძალღონე დაუბრკოლებლად ისე მოიხმაროს, რომ მეტი ნაყოფი და ბარაქა ექნეს მის შრომა-მოქმედებას.

ეს პრინციპი,—რომ დამოუკიდებელი თვით-მართველობა საჭირო და სასარგებლოა—რა თქმა უნდა, შეგნებული აქვს როგორც სომეხს, ისე ქართველ ხალხის ცნობიერ ნაწილს და კერძოდ ინტელიგენციას. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც ეტყობა, ორსავე მხარეს ერთნაირად არ ესმის ამ პრინციპის განხორციელება და მისი პრაქტიკულად მოგვარება.

სომეხთა მოწინავე ჯგუფი ალიარებს და თხოულობს საერთოდ კავკასიის ავტონომიურ თვით-მართველობას, მაგრამ ამავე დროს ეწინააღმდეგება ისტორიულად მოპოვებულ ტერიტორიის ფარგალში ეროვნულ თვით-მართველობას და ლიბერალურ ფრაზებით უარჰყოფს „ნაციონალურ განცალკევებას..."

და, აი, სწორედ ეს არის ის მთავარი მუხლი, რომელსაც გამორკვევა ესაჭიროება და რომელიც, თუ მის შესახებ შეთანხმება არ მოხერხდა, ძალიან ხელს შეუშლის ჩვენსა და მათ შორის სოლიდარულ საპოლიტიკო საქმიანობას...

ჩვენც მომხრე ვართ კავკასიის ავტონომიურ თვით-მართველობისა, ჩვენც აუცილებლად მიგვაჩნია ერთა შორის კავშირი და საერთო სარგებლობის პრინციპით გამოწვეული მჭიდრო დამოკიდებულება. მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვინდა განსაზღვრულ ტერიტორიის ფარგალში ეროვნული არსებობა და ხალხოსნურ მთლიანობის შენარჩუნება. კავკასიის თვით-მართველობის ცენტრალური ორგანო არ უნდა ეხებოდეს ისეთ საქმეს, რომლებიც თითოეულ ერისა და კერძოდ ქართველ ერის შინაურ ცხოვრების მოწესრიგებას შეეხება, და იქ გადასაწყვეტად მხოლოდ ის საკითხები უნდა გადადიოდეს, რომლებიც მთელის კავკასიის ხალხთა სოციალ-პოლიტიკურ დამოკიდებულებისა და ურთიერთობის მომწესრიგებელია.

რასაკვირველია, ჩვენს მეზობელ ხალხებს რეცეპტებს ვერ დავუწერთ და ვერ მოვთხოვთ იმ გზას დაადგნენ, რომელსაც ჩვენ ან სხვა ვინმე ქართველი მწერალი უჩვენებს: ჩვენ კარგად გვესმის, რომ სომეხთა ანტიპატია ეროვნულ ავტონომიის მიმართ სომეხ ხალხის დასახლების პირობებში იმალება, რომ კავკასიაში „სომხები,—როგორც ბ-ნი გ. თ.-ი სწერს,—ყველაზე უფრო გაფანტულად ცხოვრობენ" და ამიტომ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მთლიანს ეროვნების მოთხოვნის წარმოდგენა ვერ მოუხერხებიათ.

მაგრამ არა გვგონია, ეს საკმაო საბუთი იყოს ეროვნულ თვით-მართველობათა უარსაყოფელად და კავკასიის ყველა ხალხთა გამთქვეფ ცენტრალიზმის გამოსაცხადებლად. კავკასიაში არის ერთი კუთხე, რომელიც ისტორიულად სომეხ ხალხის სამშობლოს შეადგენს და სადაც მას არავინ ეცილება. ამ ხალხს სრულის უფლებით შეუძლია მოითხოვოს თავისთვის ეროვნული თვით-მართველობა და იბრძოლოს კიდეც მის მოსაპოვებლად. ამ შემთხვევაში იგი ყველა მეზობლებში ჰპოვებს თანაგრძნობასა და დახმარებას, თორემ მადის გადიდებამ და ბევრის მონდომებამ, ვინ იცის, იქნება ცოტასაც ჩაილულის წყალი დაალევინოს და მათაც და ჩვენც ვნება მოგვიტანოს... კარგი იქნება, ეს გაიხსენონ ხოლმე იმ პირებმა, რომელნიც თვის ხალხის საჭიროებებს არკვევენ და რეზოლუციებს სწერენ.

ყოველ შემთხვევაში, ეს პირდაპირ ჩვენ არ შეგვეხება და ქართველებს უფრო იმაზე ლაპარაკი შეგვეფერება, რაც კერძოდ საქართველოსა და ქართველ ხალხის საკითხს შეადგენს. ეს საკითხი კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრების ისეთი პირობები მოვიპოვოთ, სადაც შეგვეძლება ხალხოსნური არსებობა და დაუბრკოლებელი განვითარება. ცხოვრების ასეთი «პირობაა» ეროვნული თვით-მართველობა და შინაურ წესწყობილების სხვებისაგან დამოუკიდებლობა. საქართველო უნდა იყოს არა უბრალო გუბერნია ან უსახო ოლქი ავტონომიურ კავკასიაში, არამედ ეროვნული ერთეული,—თავის შინაურ საქმეებში სხვა ხალხთაგან დამოუკიდებელი.

ეროვნული თვით-მართველობა არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, იმ უცხო ხალხის წარმომადგენელთა დაჩაგვრას ან დამონებას, რომელნიც თვით-მართველობიან „ეროვნულ ერთეულის" ფარგალში ცხოვრობენ. დემოკრატიულს საფუძველზე დამყარებული თვით-მართველობა ერთნაირ მოქალაქობრივ უფლებებს ანიჭებს ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ამიტომ სრულიად უალაგო და, თუ გნებავთ, უტაქტოა ის გზის მოვლა, რუსულად ,,ობხოდნოე დვიჟენიე'' წოდებული, რომელსაც ეწევა ბ-ნ გ. თ.-ი გაზ. ,,ახალ მიმოხილვა''-ში. იგი დინჯად აჭრის საქართველოს ტერიტორიას ორი ათასი წლის ნაწილებს და, ვითომ სამართლიან არჩევნების გულისთვის, გადააქვს სულ სხვა ფარგალში. იმ ,,ფარგლის'' ნაწილებს გულუხვად ამრგვალებს, ხოლო საქართველოს კიდეებს სციცქნის და მის დედა-ქალაქს გამოურკვეველ საერთაშორისო ოლქად აცხადებს...

ჩვენ მოვალენი ვართ პირდაპირ ვუთხრათ ბ-ნ გ. თ.-სა და მის თანამოაზრეებს, რომ ჩვენ ასეთ „განაწილებაზე" ვერას დროს ვერ დავთანხმდებით და მათი მისწრაფების მხარის დამჭერი ვერ გავხდებით...

ეს არის ჩვენი აზრი. საქართველოს მთლიანობის ცნობა აუცილებელი პირობაა კარგ განწყობილების დასამყარებლად. და შეუძლებელია ხანგრძლივი კავშირი და სასურველი განწყობილება, თუ ეს პრინციპი ორივე მხარესგან აღიარებული და სავალდებულოდ გამოცხადებული არ იქნება...

საჭირო საქმე.

რუსეთის მდგომარეობა თანდათან უფრო საშიში ხდება. შორეულ-აღმოსავლეთში ეკიდება ცეცხლი რუსის ჯარისაგან მიტოვებულ სოფლებს და ქალაქებს. ამავე დროს შიდა გუბერნიებშიაც იწვის გლეხებისაგან განადგურებული სოფლის მემამულეთა სახლები. ალი მოედო მთელ რუსეთს. ყოველ მხრიდან,—შიდა-გუბერნიებში, განაპირა ქვეყნებში, ყველგან საშინელ სურათს წარმოადგენს ცეცხლ-მოკიდებული ქვეყანა. და ამ უბედურების დროს ყველა დაბნეულივით დარბის აქა-იქ, უნდა ჩააქროს ცეცხლი, უნდა გააკეთოს რამე და ვერ აკეთებს ვერაფერს. ზოგი სტირის და ოხრავს, ზოგი კიდევ სარგებლობს საერთო არეულობით და სხვის ქონებას იტაცებს, ზოგი ყვირის და ხმამაღლა ითხოვს, რომ დაისაჯონ ისინი, ვინც მოუკიდა ცეცხლი სახლებს და ამდენი უბედურება დაატრიალა. ამ საერთო არეულობის გამო განზე არიან გამდგარი უსაქმოდ ისინი, ვინც იცის, რა უნდა გაკეთდეს ამნაირ დროში, რითი შეიძლება ამ საშინელ ცეცხლის ჩაქრობა. ყველა ცალცალკე მოქმედობს, ყველა ეჩხუბება ერთმანეთს, და ცეცხლი ამ დროს თანდათან უფრო ედება სოფელს და ანადგურებს ყველაფერს.

სოფლად თუ ცეცხლი გაჩნდა, მისი ჩაქრობა ძნელი ხდება იმიტომ, რომ საერთო მოქმედებას არ არის ჩვეული ხალხი და ყველა იძახის,—ჩემი სახლი მოშორებით არის, რად უნდა შევიწუხო თავიო. ყველა მხოლოდ თავის თავზე ჰფიქრობს, თავის თავს სჩივის და ცეცხლი ამასობაში თანდათან ძლიერდება და ბოლოს მის სახლსაც ედება და ანადგურებს.

ეს განზე გაჩერება რუსეთში სახელმწიფო სიბრძნის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი იყო და საზოგადო ცხოვრების უმთავრესი საფუძველი.

ეს განზე გადგომა სავალდებულო იყო იმისთვის, ვისაც არ უნდოდა გამხდარიყო პოლიციის თვალში პოლიტიკურად საეჭვო. „ნამდვილ" რუსად, მთავრობის ერთგულად ითვლებოდა ყოველი ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ჰფიქრობდა, განზე იდგა და საზოგადო საქმეებზე ზრუნვას მთავრობას ანდობდა. გაბედულობა ბოროტ მოქმედებად ითვლებოდა, მშიშარობა-კი საქებურად. ყოველთვის და ყველგან გვიჩიჩინებდნენ, რომ გულში მუდამ უნდა გვქონოდა მთავრობის შიში, რომ ყოველთვის მხოლოდ ჩვენ თავის კეთილდღეობაზე უნდა გვეფიქრა. ეროვნულ პოლიტიკაში რუსეთი ადგა ეგოისტობას, შიდა-გუბერნიების მკვიდრთა გაბატონებას სხვებზე. ყველგან ცდილობდნენ წოდებათა განცალკევებას, ღარიბების ინტერესებს ივიწყებდნენ მდიდართა და პრივილეგიების მქონე პირთა გულისთვის, გლეხებში ჰხედავდნენ მხოლოდ გადასახადის შემომტანს, აცხადებდნენ, რომ რუსეთის სხვადასხვა ნაწილს, სხვადასხვა გუბერნიას, სხვადასხვა ეროვნებას ერთმანეთში არავითარი კავშირი არა აქვთ, ცდილობდნენ მოესპოთ საზოგადოებაში სოლიდარობის, ერთობის გრძნობა, გადაემტერებინათ ერთმანეთში სხვადასხვა ერი, სხვადასხვა კლასი.

და, საუბედუროდ, საამისო მეცადინეობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამ მეცადინეობამ აამხედრა რუსეთის განაპირა ქვეყნები შიდა-გუბერნიების საწინააღმდეგოდ, მანვე ჩამოაგდო განხეთქილება გლეხებსა და თავად--ზნაურობაში, გაამწვავა მუშების დამოკიდებულება ქარხნების პატრონებთან, საერთო მტრობა და უნდობლობა შემოიტანა რუსეთში.

ადვილი საფიქრებელია, რომ ამნაირი, ერთმანეთში დაშორებული, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალები, ადვილად დაადგებოდნენ არეულობას, რომ ამისთვის ერთი პატარა ნაპერწკალიც იყო საკმარისი და რომ რუსეთის დამარცხებას შორეულ-აღმოსავლეთში მოჰყვებოდა უთუოდ შინაურ ცხოვრებაში ახალი მოძრაობა, რომელიც დღითი-დღე ძლიერდება და ედება რუსეთს.

დანგრეულ სახლის სახით წარსდგა რუსეთი ისტორიის სამსჯავროს წინაშე. პირველივე შეტაკება... და დაიძრა მთელი სახელმწიფო და საზოგადო წყობილების უზარმაზარი შენობა. მმართველ წრეებში, საუბედუროდ, დღესაც კიდევ ვერ შეუგნიათ თანამედროვე მდგომარეობის მიზეზი, თუმცა ეს მიზეზი ამ ჟამად ყველასათვის ცხადია.

ნუ თუ შეუძლია გამარჯვება იმ სახელმწიფოს, რომელიც უცხოა ხალხისთვის? რისთვის უნდა ნატრობდნენ რუსეთის გამარჯვებას რუსეთის განაპირა ქვეყნების მცხოვრებნი—პოლონელები, ურიები, ფინლიანდელები და კავკასიელებიც? რატომ უნდა ცდილობდეს გამარჯვებას თვით შიდა გუბერნიების რუსი, რომელიც წინანდელ ომებში გამარჯვების შემდეგ მაინც ცხოვრობს თავისავე ქვეყანაში, როგორც უცხო ვინმე, ვილასგანაც დამარცხებული?

რა ძალა უნდა ჰქონდეს იმ სახელმწიფოს, რომელიც მრავალ წელთა განმავლობაში სისტემატიურად სპობდა ხალხში პოლიტიკურ აზროვნებას და მამულიშვილურ გრძნობებსაც? მუდამ გვეუბნებოდნენ, გაჩერდით განზე,—სახელმწიფო საქმეები არ გეხებათო! ამიტომ რუსების უმეტესობას რუსის ჯარის გამარჯვება არ მიაჩნია თავის გამარჯვებად და ჯარის დამარცხება მისთვის, ხალხისთვის, დამარცხება არ არის!

სისუსტე, სეპარატისტობა, არეულობა,—აი ეს არის იმ პოლიტიკის შედეგი, რომელიც ჰქადაგებდა ერთმანეთში დაშორებას და განზე გადგომას. ამ მდგომარეობის მოსასპობად უნდა შეერთდეს, გაერთიანდეს დარღვეული სახელმწიფოს სხეული, უნდა აღიარონ რუსებმა თავისი უწინდელი ცოდვები და სამუდამოდ მოსპონ პრინციპი: divide et impera! სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობაში უნდა მიენიჭოს მონაწილეობა ყველა ეროვნებას რუსეთში!...

თუ უნდა რუსეთს ყველასათვის პატივსაცემი შეიქმნეს, უნდა დაამტკიცოს უთუოდ ისიც, რომ მისთვის თანასწორად ძვირფასია ყველა ქვეშევრდომი, რომ თანასწორად პატივს სცემს ყოველ ეროვნებას რუსეთში. და დღემდის რუსეთის სახელმწიფო ცხოვრება თუ იყო აგებული ეროვნულ, წოდებრივ და პირად ეგოიზმის გრძნობაზე,—თვით ცხოვრებამ უარჰყო ასეთი პრინციპი და მოითხოვა, რომ ყველამ დაივიწყოს დროებით თავისი თავი და მხოლოდ ხალხის კეთილდღეობაზე იზრუნოს.

ამისთვის არის საჭირო, რომ შეურაცხყოფილთა ინტერესები ყველასათვის ჩამაფიქრებელი შეიქმნეს.

დიდი ხანია, საზღვარ-გარეთ და რუსეთშიაც ამტკიცებენ, რომ ხალხის შეერთება, შეკავშირება შეუძლია მხოლოდ იმ წესწყობილებას, რომელიც იქმნება აგებული დემოკრატობის საფუძველზე და ამიტომ ხალხის დასამშვიდებლად აუცილებლად არის საჭირო, რომ ხალხმა და ზევით მყოფმა წრეებმა მტრულის თვალით აღარ შეხედონ ერთმანეთს და რომ ხალხის წარმომადგენლები სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში სხვების სწორი შეიქნენ უფლებითა და საერთო პატივისცემით. უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს რუსეთმა ადგილ-მამულის საკითხს, უნდა მოიწვიოს საპოლიტიკო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად მუშები და გლეხები და უნდა ახსოვდეს, რომ დაყოვნება, საქმის გადადება შეიძლება, თვით რუსეთის არსებობისათვის შეიქმნეს საშიში.

უნდა ახსოვდეს აგრედვე რუსეთს სხვადასხვა დამონებულ, შევიწროვებულ ეროვნებათა მდგომარეობა. დემოკრატიულ რეფორმების აუცილებლობა უკვე შეიგნო ხალხის უმეტესობამ და ამის შესახებ არა ერთი წერილი იყო დაბეჭდილი რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ ეროვნული საკითხი ასეთივე შეგნებული არა აქვს ყველას,—არ იციან, რომ, დღეს თუ ხვალ, გამოჩნდება ამ საკითხის საშინელი ძალა, და დაეწევა საშინელ ლოდივით რუსეთის საპოლიტიკო ცხოვრებას. ურიები ითხოვენ ადამიანურ ცხოვრების უფლებას, ფინლანდელები, პოლონელები, კავკასიაში მცხოვრები ერები ეჭვის თვალით უყურებენ რუსეთის მოძრაობას,—თან იმედიც აქვთ, რომ ამ მოძრაობას მათთვისაც სასიკეთო შედეგი მოჰყვება, თან კიდევ არ სჯერათ იმისი, როგორ მოიქცევა იმათ შესახებ რუსი საზოგადოება, ნუ თუ აპირებს შემდეგშიაც ამ ერებზე გაბატონებას?

აქა-იქ მოსჩანს უკვე პოლონეთში ეროვნულ მოძრაობის საშინელი ნიშნები გერმანიამაც აცქვიტა ყური; რუსეთის საზღვრებზე გერმანელების აუარებელმა ლაშქარმა მოიყარა თავი და ვინ იცის, ეგება კიდევ ახალი უბედურება მოელის აქედან რუსებს. ეჭვი არ უნდა, რომ პოლონეთი უკვე აჯანყებული იქნებოდა, რომ პოლონელებს არ ჰქონოდა მომავალ რეფორმების იმედი რუსეთში.

ჩვენ ვუყურებთ იმას,—ამბობს კრაკოვის პროფესორი მ. ე. ზდზეხოვსკი,—რომ გამოდის რეაქციის წყვდიადიდან ჩვენ თვალწინ ახალი რუსეთი, რომლის არსებობას ვგრძნობდით და რომლის მოქმედებას ვერ ვხედავდით დღევანდელ დღემდის. შორეულ-აღმოსავლეთის ქუხილმა 'გამოაღვიძა მძინარე ერი; გამოჩნდა ახალი კაცები და მათ სიტყვებში ვგრძნობ ისევე იმ ძველ ნაცნობ გრძნობებს, რომელიც უწინ ჰქონიათ საუკეთესო რუსებს. სრული დარწმუნებული ვარ, რომ შეგვიძლიან ჩამოვაგდოთ რუსის ერთან ის შეთანხმება, რომელიც იყო შეუძლებელი კატკოვთან და კატკოვის მიმდევარ საზოგადო ან სახელმწიფო მოღვაწეებთან.

სართო თანასწორობა, დაწერილი რუსის საზოგადოების დროშაზე, უნდა შეიქმნეს რუსების შემაკავშირებელი ყველა იმ ერთან, რომელიც ცხოვრობს რუსეთის საზღვრებში...

ჯერ ჯერობით ადრეა ლაპარაკი იმაზე, თუ რა პირობით, ან როგორ შეიძლება პოლონელთა ან სხვა ერთა ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება,—ეს საკითხი უნდა გადასწყვიტოს მომავალმა საერო კრებამ, რომელშიაც უნდა მიენიჭოს ყველა ეროვნების წარმომადგენლებს შიდა-გუბერნიების მკვიდრთა თანასწორი მონაწილეობა.

აუცილებლად არის საჭირო იმ უსამართლობის მოსპობა, რომელსაც ადგა რუსეთი სხვა-დასხვა არა რუს ერთა შესახებ, რომ მომავალი, თავისუფალი რუსეთი არ იყოს აგებული ძალმომრეობაზე, სხვების დამონებაზე. ამ უსამართლობის მოსპობა ზნეობრივი მოვალეობაა ყოველი პატიოსან რუსისა მისი მოვალეობა არის, მოირეცხოს ის ცოდვა, რომელიც სთითხნის რუსეთის წარსულს, და ნუ თუ სირცხვილი არ არის რუსისთვის, რომ ამ დროს პოლონელმა გვავახსენა ჩვენი მოვალეობა და გვიჩვენა ნამდვილი გზა სახელმწიფო ცხოვრებისთვის?

ვისაც უნდა გადაარჩინოს დაღუპვისაგან რუსეთი,—უნდა ეცადოს უპირველესად ყოვლისა, რომ მისი განაპირა ადგილები დამშვიდეს. აუცილებლად არის საჭირო, რომ მოისპოს რუსეთში „გაბატონებული" და „დამონებული" ერები, რომ ყველა ეროვნება კმაყოფილი შეიქმნეს რუსეთში ცხოვრობით...

უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ თუ მიენიჭა ყველა ეროვნებას თანასწორი საპოლიტიკო უფლება, მაშინ ეს ერებიც დიდ გამწვავებას არ გამოიჩენენ და მოითხოვენ მხოლოდ იმას, რაც სამართლიანია,—მოითხოვენ ავტონომიას იქ, სადაც მათ ცალკე ტერიტორია უჭირავთ, და თანასწორობას იქ, სადაც ისინი რუსებთან ერთად სცხოვრობენ იმავე საზღვრებში. ის მოთხოვნილება უთუოდ უნდა აუსრულოს ყველა ეროვნებას რუსეთმა, ყველას უნდა მიანიჭოს ავტონომია!..

თავ. ევგენი ტრუბეცკოი.

(„სინ ოტეჩესტვა" № 26).

სოფელ საგარეჯოს გლეხთა მოთხოვნილებანი

(წერილი საგარეჯოდან)

აქაურ გლეხებშიაც გაჩნდა მოძრაობა. გლეხებმა შეიმუშავეს თავისი მოთხოვნილებანი, რომლებიც 10 მუხლად იყოფა. ვბეჭდავთ აქ შეუმოკლებლად:

1. სახელმწიფო ხარჯი და ბეგარა აუტანელი რამ გახდა ხალხისთვის,—იგი მეტად უზომოა და ისე შეუბრალებლადაც გვახდევინებენ, რომ, მისი წყალობით, ჩვენ დავეცით ზნეობრივ და გავღატაკდით ქონებრივ. ამ დროს ყველა ჩვენა გვცემს ჩვენსავე სახლში, ჩვენსავე ცოლშვილს წინ: ჩაფარი, გზირი, მამასახლისი, მწერალი, ბოქაული... დარბევით იქამდის გაგვანადგურეს, რომ ახლა დასარბევიც აღარა გვაქვს-რა: აღარც წალდი, აღარც ზედადგარი, აღარც სახნისი, აღარც ლოგინი. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, გადავარდეს სახელმწიფო ხარჯი და ბეგარა პირდაპირ გლეხობაზე გაწერილი და გაეწეროს იგი შემოსავლისა დაგვარად ყველა წოდებას.

2. ფარული გადასახადიც რუსეთში აუტანელია. ჩვენს გაღატაკებაში ამასაც დიდი ადგილი უჭირავს. სხვა სახელმწიფოებში გირვანქა შაქარი შაურზე მეტად არა ღირს, ჩვენში კი აბაზია. იმათშივე ლურსმანი ფუთი 50 კ. ზევით არ ადის, ჩვენში 2 მ. 40 კ.; რკინა, ჩითეული, მარილი, წუმწუმა, ნავთი ჩვენში უვარგისია და მამასისხლად ფასობს,—სხვაგან კარგი და ხელსაყრელიც არის. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ—შემცირდეს გადასახადები, რომ ხალხმა წელი გაიმაგროს.

3. გონებითა და ზნეობით დაგვჩაგრა პოლიციამ, მამასახლის-სუდიობამ, სტრაჟნიკობამ. ისე არავის უთარეშნია ჩვენი ადამიანური ღირსება, როგორც ადმინისტრაციას სოფლის მოხელეების ამორჩევის დროს. ჩვენ მოსამართლეებს გვარჩევინებენ და მათ უფროსებად ჰხდიან მათრახს, რომელსაც შეუბრალებლივ უქნევს მათ ჩაფარი, სტრაჟნიკი, ბოქაული... სულ მცირე ხანში, რაც გინდ რიგიანი მოხელე ამოვირჩიოთ, ჩაფარ-პოლიციის მონად ხდება. თვით პოლიცია შესაზარი შეიქნა: გვცემს, სულს გვართმევს ქრთამებით, ბეზღობით, უსამართლობით... ძირს, მამასახლისი, ბოქაული, სტრაჟნიკი და თვით მაზრის უფროსი. ჩვენვე უნდა ავირჩიოთ წოდების განურჩევლად ქეხა ანუ ბურღომისტრი და აგრეთვე საჭირო პოლიციის პირნიც თავისუფლად.

4. იმ სამართალს, რომელსაც ჩვენ „მიროვოი სუდს" ვეძახით, დიდი ცოდო ადევს ხალხის წინაშე. ადგილობრივ ენისა და ჩვეულების არ მცოდნე მოსამართლე ამახინჯებს ჩვენებას უსწავლელ თარჯიმანის წყალობით. ამიტომ ხდება საჭიროდ ის ბნელეთის ძალა, რომელსაც ადვოკატი ჰქვიან... არზების წერამ იგივე ბნელი ძალა—ადვოკატობა—წამოაყენა სასამართლოში და, როგორც ამან, ისე „პოშლინებმა", მოწმეების გაჭიანურებულმა გამოკითხვამ, მეტად ხარჯიანი გახადა ეს „სუდი"—იგი სასამართლო კი არა, გამტყავებელია ჩვენი. იგი ძირიანად უნდა მოისპოს და დაწესდეს ისეთი დაბალი სასამართლო, რომლის წევრებად იქნებიან ადგილობრივ ენისა და ზნე-ჩვეულების მცოდნე პირნი, ხალხისგანვე არჩეულნი. ამაზე უფრო მაღალ სასამართლოშიაც ამორჩეული კეთილ-სინდისიანი პირები უნდა იყვნენ. ყოველი მოსამართლე წოდების განურჩევლად უნდა ასამართლებდეს განსაზღვრულ ღირებულებისა და უფლების საქმეს.

5. სკოლას, რომელსაც ჩვენის ხარჯითვე ვინახავდით, პოლიტიკის ასპარეზად ჰხდიდნენ. ჩვენ უკანასკნელ დროში ვიხდიდით,—გვეგონა, ჩვენს შვილებს ასწავლიან რასმესო; მაგრამ ჩვენ რუსი მასწავლებლები გამოგვიგზავნეს ჩვენისავე ჯამაგირით, რომელთაც ქართულის ენისა არაიცოდნენ-რა,—ადგნენ მთელი დღე და „საბაკა", „კო-
]

შკა", „კოროვა"-ს ძახილით ტვინს უჩლუნგებდნენ ჩვენს შვილებს. ამ სკოლებმა გამოატვინეს ჩვენი შვილები, არამც თუ ასწავლეს რამე. ამიტომ ვკეტავთ ამ სკოლებს და ვაცხადებთ ჩვენს გადაწყვეტილებას: გლეხს შეძლება აღარ აქვს; თვით მთავრობამ გახსნას სკოლა ყოველ სოფელში, სადაც ყოველი ბალღი, წოდების განურჩევლად, უნდა სწავლობდეს უფასოდ და სწავლობდეს სამშობლო ენაზედ, რომ გონებით განვითარდეს და არა დაჩლუნგდეს. უცხო ენის უდროოდ სწავლება ტვინის გამოლაყებაა და არა სწავლება. ეს ჩვენ ტანჯვითი გამოცდილებამ შეგვაგნებინა.

6. სამღვდელოების წინააღმდეგი არა ვართ, თუმცა დღევანდელი სამღვდელოება არ გვიყვარს. იგი უსწავლელია. ქადაგებისა არა გაეგება-რა, რუსულის ტიკტიკი უფრო ეხერხება,—ქართულთან მწყრალია. წიგნებს რუსულ ენაზედ აწარმოებს და ჩინოვნიკობს. ამასთან ჯანაგირს მთავრობისაგან იღებს და ჩვენ მაინც გვახდევინებს: კოდ პურს, ჯვარის საწერს, სამარხს... ამიტომ ჩვენ ვადგენთ: სიღარიბისა გამო ჩვენისა, მღვდელს აღარ მიეცეს კოდის პური, თვით მღვდლებმაც გადააგდონ დროს შეუფერებელი ტაბლობა, ქელეხები, ნათლობაში ხარჯები და სხვა. ამასთან ეთხოვოს მთავრობას, რომ მიეცეთ მღვდლებს ისეთივე ჯამაგირი, როგორც დღეს ეძლევათ ნემეცების ახალშენებში პასტორებს. ამისთვის შეამცირონ მღვდლების რიცხვი და მცოდნე მღვდლები დაგვინიშნონ.

7. იმ თავით საქართველოში ვენახის დიდ შემოსავალს გარდა ღვინოს არაყი შეადგენდა. რაფასისაც ღვინო მოგვეიყიდოდა ვენახიდან, იმავე ფასის არაყი გვეძლეოდა. ეს იყო დიდი შეღავათი ოჯახში. აქციზმა ეს დიადი წყარო შემოსავლისა სრულიად დაგვიხშო. ამიტომ, თუ გინდათ, რომ ხალხმა ისევ სული მოიდგას და არ გაწყალდეს სრულიად, აქციზი უნდა მოისპოს და ნება მოგვეცეს ჩვენი ნაამაგარი მუქთად ვხადოთ.

8. ტყის ბაჟს გვახდევინებენ და კომლზე გვაძლევენ 200 ჭიგოს, ერთ ურემს შეშას და ორიოდე მორს. რასაკვირველია, ეს მცირე ჭიგო ვენახს არ ჰყოფნის, ერთი ურემი შეშა ოჯახს არ ათბობს,—ამიტომ ჩვენ უნდა ვიშოვოთ სადმე. ბილეთით ყიდვა ძნელია და ძვირიც. ამას ათასი ხრიკებიც ახლავს: ვადაზედ უნდა მოვსჭრათ, ვადაზედ დავამზადოთ, ვადაზედ ჩამოვიტანოთ და მერე ტყესაც, ვინ იცის, სად გიჩვენებენ,—ამაში „ლესნიჩს" ვერ მოარბილებ. ამიტომ გლეხი მოპაროვს და გაჩეხას რჩეობს, ხოლო თუ მოასწრეს, მაშინვე „პროტოკოლს" შეუდგენენ. რაც პროტოკოლებით გვხდება, იგი უფრო „ლესნიჩისთვის" არის ხელ-საყრელი. ჩვენ კი სხვა გზა არა გვაქვს,—ცოლშვილს სიცივით ვერ დავხოცავთ და ვენახს უჭიგოდ ვერ დავტოვებთ. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, გადავარდეს ასეთი წესი ტყის ხმარებისა: გლეხს უნდა ეძლეოდეს წელიწადში საკმარისი ჭიგო, საწვავი შეშა და აგრეთვე იარაღისათვისაც საჭირო მასალა. ამაში უნდა ჰხდებოდეს მას ფასი წესიერი და ხელსაყარი.

9. მიწის საქმე დიდად გაფუჭებულია ჩვენში. რადგან მთა და ჩვენი მინდვრები იყო საეკლესიო და ერთბაშად გადაეიდა სახელმწიფოს ხელში, ამიტომ სვავებივით დაეხვივნენ კერძო პირნი ძღვენითა და ქრთამებით ჩინოვნიკებს, მრავალი ადგილები გაახდევინეს საიჯაროდ და მახლობელი მამულები სოფლის გარეშე ხალხის ხელშია. ახლა რომ ჩვენ მინდორში გავდივართ, ჯერ უცხო მამულებზე უნდა გავიაროთ და ჩვენ ვხნავთ 10 და 15 ვერსზე სოფლიდან. ეს შორს დარჩენილი მამულები გაასაჩუქრეს მალაკნებზე და სხვა რუსებზე,—მათ მოუჭრეს საუკეთესო მამულები. თვით ჩვენი მინდორი ყველა მხრით სხვისას მამულებშია შეჭრილი და რაღაც უმსგავსო ფორმისაა, რომელსაც დასაწყისი ჩვენ სოფელთან კი არა აქვს, არამედ აქვს სოფლიდან ათი ვერსის მანძილზე. ამიტომ ისე უხერხულია ამ მამულების ხმარება ჩვენთვის, რომ, თუ არ შეიცვალა ასეთი განაწილება, შიმშილით ამოვწყდებით.

10. იალაღები ცივის მთისა, რომელნიც ზედ დაგვყურებენ, იმთავით ჩვენი იყო, ზაფხულში ზედ ადიოდა ჩვენი ძროხა და იქ სათემოდ ვწველიდით. დღეს იგი წაგვართვეს, საწველი იალალი ხელიდან გამოგვეცალა და ამიტომ საქონელიც გამოგველია და ლამის სული ამოგვხდეს უყველოდ, უნაწველოდ. ჩვენ ვთხოულობთ, ეს იალაღები ისევ დაგვიბრუნდეს, როგორც ძველად გვქონდა.

ამ ათ მუხლზე უწერია ხალხს ხელი და ყველას აქვს შესწავლილი. ეს ოთხი დღეა, საგარეჯოელებს ეწვიათ მაზრის უფროსი თ. ლ. ჯანდიერი. ამ უკანასკნელს ეგონა ხალხი გულახდით დამიხვდება და თავის გულნადებს მეტყვისო, მაგრამ მოსტყუვდა, ძალიან ცივად მიიღო ხალხმა, ახლო არ მიუდგა და არც პროგრამა წარუდგინა,—ხელ-მოწერილ პროგრამას, თუ დიდი მთავრობა მოვა, იმას წარვუდგენთო.

თ. ჯანდიერის მოსვლამ ის მოიტანა, რომ ხალხმა სცემა ნინოწმინდის მამასახლისს. სცემა აგრეთვე გარეჯელ მამასახლისსაც, რომელიც თავხედი და ბრიყვია..

X.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბრძოლის განახლება. სიჩუმისა და დასვენების შემდეგ, იაპონელები ისევ ბრძოლის ველზე გამოვიდნენ. იაპონელთა ერთი რაზმი 23 მარტს რუსთა რაზმს წამოეწია ძინძიატუნთან, დაამარცხა და სინლინტუნისკენ დააწევინა.

გენ. ხარკევიჩი იუწყება: 22 მარტს ერთი ჩვენი რაზმი ძინძიატუნთან 6,000 ხუნხუზს შეებრძოლაო. შედეგი ბრძოლისა ჯერ არ ვიცით. 22-ს აქეთ 5 დღე გავიდა და აქამდის არაფერი ისმის ამ ბრძოლის შესახებ (რ.).

ზავი. „ნოვ. ვრ." იუწყება: 17 მარტს პეტერბურგის ბირჟაზე ხმა გავრცელდა, აწ ცოტა ხანში რუსეთი და იაპონია შემდეგის პირობებით შერიგდებიანო: რუსეთმა იაპონიას სახალინის ნახევარი, კორეია და მანჯურია უნდა დაუთმოს. რკინის გზა ხარბინსა ან პორტ-არტურამდე იაპონიას გადაეცემა. იაპონიამ ეს გზა ჩინეთს უნდა დაუთმოს 500 მილიონ მანეთად, რომელსაც ჩინეთის მაგივრად რუსეთი გადაიხდის. ეს ფარული კონტრიბუცია იქნება.

„ნოვ. ვრ."-ას ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ: „ტაიმს"-ის კორესპონდენტი ირწმუნება, ვითომ ამერიკის შტატების პრეზიდენტი რუზველტი რუსეთსა და იაპონიას შუამდგომლობას გაუწევსო. რუსეთმა შერიგება იმიტომ გადასწყვიტა, რომ ბრძოლის ველზე საქმის ვითარების გამოსარკვევად დანიშნულმა ცალკე კომისიამ რუსეთის მთავრობას მოახსენა, ჩვენ გამარჯვება არ გვერგებაო. კორესპონდენტი, გარდა ამისა, ამბობს: რუსეთის მთავრობა ეხლა დარწმუნდა, რომ ზავის ჩამოგდება რუსეთის შინაურ საქმეებზეა დამოკიდებული. თუ რუსეთში მოძრაობამ იმატა, ზავი მალე ჩამოვარდება, თუ არა და—ომი გაგრძელდება. თუ იაპონიის მოთხოვნილებანი დიდი იქნება, მთავრობა საერო კრებას დაეკითხება (რ. ვ.).

„ბერ. ტაგ."-იც იმ აზრისაა, რომ ომის მომავალი რუსეთის შინაურ საქმეებზეა დამოკიდებულიო. თუ რუსეთში ისევე აირია მონასტერი, როგორც იანვარში, ზავი აუცილებელიაო (რ.).

„პოლიტ. კორეს."-ი, „ფოს. ცეიტ."-ი და რამდენიმე სხვა გაზეთი ამტკიცებს, რუსეთი ზავზე სულაც არ ფიქრობსო (ნ. დ.).

გენ. ლინევიჩის ჯარის მდგომარეობა. „მორნინგ პოსტ"-ს მანჯურიიდან ატყობინებენ: გენ. ლინევიჩმა დიდის ვაივაგლახით 130 ათასი კაცი შეაგროვა და 30 მილზე გაამწკრივა. ზოგი უკან ჩამორჩენილი რაზმი ისევ ეწევა ჯარს, ზოგი—უგზო-უკვლოდ დაიკარგა (რ. ვ.).

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება: როგორცა სჩანს, გენ. ლინევიჩს ეხლანდელ პოზიციების შენარჩუნება უნდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამას ვერ მოახერხებს, რადგან დღეს ან ხვალ გენ. კავამურა გირინსაც აიღებს და შეიძლება გენ. ლინევიჩსაც გზა მოუჭრას (ნ.).

რუსულ გაზეთების კორესპონდენტებიც სულ აირ-დაირივნენ: ზოგი ირწმუნება, იაპონელები აღმოსავლეთიდან გვივლიანო, ზოგი კი—დასავლეთიდანაო (ნ.).

„ლოკალ ანცაიგერ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: მუკდენის გამარჯვება ხარბინის აღებით უნდა დასრულდეს. ამ აზრის განსახორციელებლად იაპონიამ მთელი თავის ძალ-ღონე უნდა მოიხმაროს. ინგლისური გაზეთები ირწმუნებიან, გენ. კუროკის ჯარი დანარჩენ ჯარს ჩამოშორდა და გირინისკენ მიდისო. გირინი უმთავრესი კარებია რუსეთის მთავარ პოზიციისა—მდინარე სუნგარის ნაპირებისა. თუ იაპონელებმა გირინი აიღეს, სუნგარის პოზიციები თავის-თავად ჩაუვარდებათ ხელში. ვლადივოსტოკის ბედიც ამ პოზიციებზეა დამოკიდებული. თუ იაპონელებმა ხარბინი და სუნგარი აიღეს, რუსები ჩრდილოეთისკენ განდევნეს და ადმირალი როჟესტვენსკი დაამარცხეს, ვლადივოსტოკის ბედიც გადაწყდება (რ. ს.).

მარშალ ოიამას ჯარი. პოლკოვნიკი ვედკე სწერს: ერთი თვის შემდეგ მარშალი ოიამა მთელ თავის ჯარს თავს მოუყრის. იმ დროს იაპონიის ჯარში იქნება არა ნაკლებ 325 ათას კაცისა. ამ ჯარს მალე ახალი ჯარი—125 ათასი კაცი მიემატება; ამრიგად ერთი თვის შემდეგ მარშალ ოიამას სულ 450 ათასი კაცი ეყოლება. ყველაფერი, ე. ი. ამ ომის ბედი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენ კაცს შეაგროვებს ამ დროს გენ. ლინევიჩი. ვედკეს აზრით, გენ. ლინევიჩს იაპონელებზე გაცილებით ნაკლები ჯარი ეყოლება, ისიც დარბეული, დაბნეული, იმედ გადაწყვეტილი. ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართება ამ ჯარს მუკდენის ბრძოლის შემდეგ (ს. ო.).

რა მიზეზია,—კითხულობს „სინ ოტეჩესტვა",—რომ რუსეთის ტყვეები იაპონიაში ძალიან კარგ გუნებაზე არიან, თითქმის უხარიანთ კიდეც ტყვეობა, იაპონელი ტყვეები კი რუსეთში თავს იკლავენ?

ნოვგოროდის გუბერნიაში, სოფელ მედვედში, დაბინავებული იყო რამდენიმე ასი იაპონელი ტყვე. ამ დღეებში ამ ტყვეებიდან 70 კაცმა მოიკლა თავი: ზოგმა ყელი გამოიჭრა, ზოგმა კი საწამლავი დალია (ს. ო.).

რუსეთის ახალი გეგმა. უცხოელი გაზეთები იუწყებოდნენ: სამხედრო საბჭომ გადასწყვიტა მანჯურიაში 600 ათასი კაცი გაგზავნოს. ცოტა ხნის შემდეგ იგივე გაზეთები სწერდნენ: 600 ათას კაცის გაგზავნა საშიშოა, რადგან რუსეთში მშვიდობიანობის დასაცველად ძალიან ცოტა ჯარი-ღა დარჩებაო. ეხლა „ტაიმ"-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: მთავარ-შტაბმა გადასწყვიტა ბრძოლის ველზე ახალი ჯარი აღარ გაგზავნოს, რადგან დარწმუნდა, რომ მობილიზაციის მოხდენა საშიშია. მთავარ-შტაბი იაპონელთა დამარცხებას შემდეგის ხერხით აპირობს: გენ. ლინევიჩი საქმეს გააჭიანურებს, უკან ნელ-ნელა წამოვა და ამით იაპონელებს მოღლის (რ. ვ.).

ბიუროკრატია და ომი. ამას წინად მოხსენებული გვქონდა შრომა ერთ კომისიისა, რომელიც ეხლა პეტერბურგში ფიქრობს და ბაასობს, როგორი მართვა-გამგეობა დავაწესოთ კვანტუნის ნახევარ კუნძულზეო. ამ ახირებულ კომისიის გარდა პეტერბურგში ეხლა მეორე, ამაზე უფრო ახირებული კომისია მუშაობს. ეს კომისია ადგენს პროექტს, რა ჯურის სამოსამართლო პალატა უნდა დაწესდეს... პორტ-არტურში! (ს. ო.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

ქუთაისი, 26 მარტი. გუშინწინ შესწყდა სწავლა ქუთაისის გუბერნიის ყველა სახალხო სკოლებში. ამ დღეებში დავით ბახტაძის სახლობამ ხონში დალია ქინა-ქინის მაგივრად სტრიხნინი. მოიწამლენ. გარდაიცვალა მამა და შვილი; ცოლი გადარჩა სიკვდილს.

მოსკოვი, 24 მარტს. პიროგოვის საზოგადოების კრებაზე ს. ატირეჯალიმ წაიკითხა სამეცნიერო მოხსენება ხოლერის შესახებ. კრება ვადამდის დახურულ იქმნა.

სოხუმი, 25 მარტს. ჩამოვიდა გამოწვეული სამასი კაზაკი.

ფოთი, 27 მარტს. დღეს, დილის $10\frac{1}{2}$ საათზე, 9 შეიარაღებულმა კაცმა გაძარცვა ადგილობრივი საურთიერთო კრედიტის საზოგადოება. წაიღეს 6000 მან. ნაღდ ფულად და 9000 მანეთის ღირებული ფასიანი ქაღალდები.

ახალი ამბავი

პარასკევს, 25 მარტს, ტფილისის რუსულ-ქართულ გაზეთებზე მომუშავე ასოთ-ამწყობებს კრება ჰქონდათ. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა კვირაობით გაზეთებზე მუშაობა აღარ იყოს. ამის გამო **რუსულ-ქართული გაზეთები ორშაბათობით** ამიერიდან **აღარ გამოვა**, გაზეთ „კავკაზის" გარდა, რომლის ასოთ-ამწყობები, როგორც სხვა კრებებს, ისე ხსენებულ კრებას არ დაესწრნენ.

✦ გუშინ, 26 მარტს, ვაჭართა კრება იყო, მათ მამასახლისის თავმჯდომარეობით; კრებამ ნოქრების მოთხოვნილება განიხილა და მთლად მიიღო. ვაჭრობა დაიწყება დილის 8 საათზე და ნაშუადღევის 6 საათზე გათავდება. დანარჩენ პირობებს შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ. ხვალ,—ორშაბათს, დილიდან ნოქრები თავის საქმეს შეუდგებიან და ამ რიგად **გაფიცვა ნოქრების გამარჯვებით გათავდა.**

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მთავარ-მართებლის მოადგილეს უკვე წარუდგინა აგრონომ ქალანთარის მოხსენება და საზოგადო კრების დადგენილება. **საბჭო სთხოვს მთავარ-მართებლის მოადგილეს, აღძრას შუამდგომლობა შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედების სამინისტროებთან, რომ შავი ზღვის ნაპირებზე გადმოსახლებულნი ოსმალეთის ქვეშევრდომნი, სომხები და ბერძნები,** თავის ადგილებზე დასტოვონ და სამთო-სამადნო მრეწველთათვის დაწესებულ კანონს დაუქვემდებარონ.

✦ რადგანაც ხაშურსა და გომს შუა **რემონტის მუშები გაიფიცნენ** სადარაჯოდ ჯარის კაცები ჩაუყენებიათ.

✦ **ლუდის ქარხნების პატრონები,** ვეტცელი, ლუიზა მადერი, ოტტო მადერი და დიტრიხი გაფიცულ მუშათა შემდეგ პირობებს **დასთანხმდნენ:** 1 აპრილიდან ამ ქარხნებში დაწესებული იქმნება ცხრა საათის სამუშაო დღე, დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე. ამაში ორი საათი სადილისა და ერთი საათი საუზმის საჭმელად არის გადადებული. 2) ყველა მუშას თვეში ხუთ-ხუთი მანათი ექნება მომატებული. 3) ავადმყოფობის დროს მუშას მიეცემა ორი კვირის განმავლობაში ჯამაგირი და უფასო საექიმო დახმარება. 4) თუ საჭიროება მოითხოვს, თითო კვირით სახლში წასვლის ნება ეძლევა და სხ. მუშები დაკმაყოფილდნენ.

✦ სადგურ ძეგამიდან **რკინის გზის გამგეობას დეპეშით ატყობინებენ,** რომ გუშინ, 26 მარტს, მატარებლით № 6 სადგურზე მისულა ორასზე მეტი რემონტის მუშა, უცემია ნავთის მილის რამდენიმე მუშისათვის, რომელთაც მუშაობაზე ნებით ხელი არ აუღია, შემდეგ უბრძანებიათ მუშა მატარებლის მემანქანესთვის, რომ მატარებლისათვის მოეხსნა ორთქლმავალი და მოება სამი ცარიელი ვაგონი. ამ ვაგონებში ჩამსხდარან მუშები და აქსტაფისკენ წასულან, გზადაგზა რემონტის მუშებისთვის და ლიანდაგის დარაჯებისთვის მუშაობაზე ხელი აუღებინებიათ.

✦ **ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეებმა** გუშინ დილიდან მეცადინეობა დაიწყეს.

✦ დღეს, 27 მარტს, საარტისტო საზოგადოების თეატრში სომხურ დრამატიულ დასის მიერ **არტისტი აბელიანის საბენეფისოდ, წარმოდგენილი** იქმნება პირველად ფ. ფილიპპის 3 მოქმედებიანი დრამა «კაცობრიობის სათნოებანი» და „დონ-კარლოსიდან" მესამე მოქმედება. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე („მშაკ").

✦ უკანასკნელ კრებაზე **ქალაქის მოურავმა განუცხადა გამგეობას,** საჭიროა, ქალაქის სამკერვალო სკოლის მოწაფე ქალების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ხსენებულ სკოლის დირექტრისა დათხოვნილ იქმნას ამ თანამდებობიდგან და დროებით ზედამხედველის თანამდებობა ჩაბარდეს სტეფანიანცის ქალსაო; გამგეობამ მიი-

ფელეტონი

სიმღერა

ყველას გვესმის ქღივილის ხმა,
შეფთქრიალდნენ ჩიტუნები
და გაისმის ყოველისა მხრით
გაზაფხულის ტკბილი ხმები.

—

გავიღვიძეთ!.. აღარ გვძინავს,
გავახილეთ ყველამ თვალი
და ჰიკჰიკით გვეგებება
მახარობლად ჩვენ მერცხალი.

—

მაღლა მთიდან ხმა გაისმის,
გულს ხვდება და ატკბობს ყურსა!
შაშვი არის... შავი შაშვი,
რომ გაჰკივის სალამურსა.

—

დაბლა ბარში ათას ჰანგზე
აგზნებული ბულბული სტვენს,
ღირს-უღირსის გაურჩევლად,
ყველას ატკბობს, სიამეს ჰფენს.

—

ეს ხომ ყველა ნიშანია,
რომ მოსულა გაზაფხული?
პირუტყვებიც კი ფხიზლობენ,
ზამთრისგან დაჩაგრული.

—

მაშ გაზაფხულს ჩვენც ველოდეთ,
წმინდათ მივსცეთ ხელი-ხელსა
და გავკაფოთ ახალი გზა,
აუქციოთ მხარი ძველსა!!

—

გვახსოვდეს, რომ პატიოსანს
ოფლს მოითხოვს სამართალი
და ტანს გასწმენდს ჭუჭყიანსა
მხოლოდ, მარტო წმინდა წყალი!..

—

არც სისხლით და არც ცრემლებით
არ იქნება ტანის ბანა!
შრომაშია მხოლოდ შვება
და ცხოვრების გამოცანა.

1905 წ. აკაკი.
24 მარტი. ტფილისი.

მომავალი საერო კრება და რუსეთის წარმომადგენლები.

ეჭვი არ უნდა იმას, რომ მოკლე ხანში იქმნება მოწვეული სრულიად რუსეთის საერო კრება. ამ კრებას მოუთმენლად მოელის რუსეთის პრესსა და საზოგადოება და ეხლავე ირკვევს სხვადასხვა პრაქტიკულ კითხვას წარმომადგენელთა არჩევის შესახებ.

ყველას უხარიან, რომ მთავრობა, როგორც იქმნა, დაადგა ახალ მიმართულებას და რომ უნდა მოეღოს ბოლო ბიუროკრატიას, რომლის მაგიერობას გასწევს შემდეგში საერო კრება, თვითმართველობის პრინციპზე აგებული ახალი წესწყობილება რუსეთში.

მართალია, აქა-იქ გაისმის კიდევ ობოლი ხმები,—ძველ წყობილების ქება და ახალის ძაგება, მაგრამ დღეს ამ ხმებს დაკარგული აქვს უწინდელი ძალა და უნიადაგოდ დარჩენილი გრინგმუტმეშჩერსკები მხოლოდ ჯავრის ამოსაყრელად განაგრძობენ კიდევ თავიანთ ლანძღვა-გინებით სავსეს და ყველასათვის საზიზღარ მოღვაწეობას...

ყველა თავისუფალი გაზეთი გადაჭრით აცხადებს, რომ წარმომადგენელთა მოწვევა, საერო კრება აუცილებელი შეიქმნა რუსეთისათვის და რომ არავითარ ძალას აღარ შეუძლია გამოფხიზლებულ საზოგადოების გაჩერება და უწინდელივით ბიუროკრატიის გაბატონება რუსეთში. საზოგადოებაც მხარს უჭერს გაზეთებს, შეერთებულის ძალით მოქმედობს, გადაჭრით ითხოვს სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობისათვის ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლების მოწვევას, და თვით მთავრობამაც ხომ ბოლოს გამოაცხადა საჯაროდ, რომ არსებული წყობილება უვარგისია, და მის გასაუმჯობესებლად კანონმდებლობის საქმეში მონაწილეობის მისაღებად იქმნება მოწვეული საერო კრება...

მაგრამ ცარიელი სიტყვები,—საერო კრება, წარმომადგენლები,—არ კმარა, საზოგადოებას უნდა შეიტყოს ეხლავე,—როგორი იქმნება ეს კრება, რა უფლებები ექნება მას მინიჭებული შემდეგში, ან როგორ, რა წესით იქმნებიან არჩეული კრებისთვის ხალხის წარმომადგენელნი.

ამბობდნენ,—ყველა წოდებას მოეთხოვას ცალ-ცალკე წარმომადგენელთა არჩევა და საერო კრების მოქმედება იყოს აშენებული წოდებრივ სხვადასხვაობაზე. მაგრამ უმეტესობა გადაჭრით უარჰყოფს წოდებრივ პრინციპს და მოითხოვს, რომ ყველას, რუსეთის ყველა მცხოვრებს ჰქონდეს მინიჭებული წარმომადგენელთა არჩევანში თანასწორი უფლება.

ამბობდნენ, არსებულმა საერობო კრებებმა აირჩიონ თავიანთი წარმომადგენელნი და იქ, სადაც ჯერ შემოღებული არ არის ერობა, მის დაგვარადვე მოეწყოს არჩევნების საქმე. მაგრამ ერობაში ყველას არ აქვს მონაწილეობის უფლება, საამისოდ ცენზია საჭირო, ახალ სრულიად რუსეთის საერო კრებისთვის წარმომადგენელთა არჩევის უფლება კი უნდა მიენიჭოს რუსეთში მცხოვრებ ყოველ სრულ-წლოვან ადამიანს, ქალსაცა და კაცსაცო...

ამბობენ აგრეთვე,—რუსეთში ხალხი ჯერ არ არის საკმარისად განვითარებული იმისთვის, რომ დააფასოს ასარჩევი ადამიანი, და მართლაც შესაფერი რიგიანი წარმომადგენელი გაგზავნოს საერო კრებისთვის. სად შეუძლია მთელ მაზრას, ორას-ათას კაცს შეთანხმდეს ერთ რომელსამე პირზე და ვინ არის იმის თავდები, რომ ეს პირი, მართლა, საუკეთესო და უფრო შესაფერი იქმნება საერო კრებისთვის. ამიტომ ხალხმა უნდა აირჩიოს სანდო პირები და შემდეგ ამ სანდო პირებმა უნდა აირჩიონ საერო კრების წევრები. ამნაირი „ორკეცი" არჩევა საქმისთვის უფრო სასურველი არისო, ვინაიდან აქ ნაკლებად ექმნება ადგილი გატაცება, მომხრეობასა და შენჩემობას,—ამბობენ ისინი, ვისაც რუსეთის ხალხი არ ჰგონია ჯერ საკმარისად მომწიფებული.

მაგრამ ამაზედაც ამბობენ, რომ ხალხმა თვითონ იცის, ან თვითვე უნდა იცოდეს, რა არის მისთვის ამჟამად უფრო საჭირო და რომელ პირის არჩევა იქმნება უფრო სასურველი ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

არის განვითარებული ხალხი თუ არა, სულ ერთია, სხვისი აპეკუნობა მას არ სჭირია და არა ამიტომ არის საჭირო სხვადასხვანაირ საარჩევნო წესების შემოღება ვითომდა ხალხის საკეთილდღეოდ.

დასავლეთ ევროპის მაგალითმა დაამტკიცა, რომ ხალხისთვის და საქმისთვისაც სჯობია, ყველასთვის სწორის, პირდაპირისა და ფარულის საარჩევნო უფლების შემოღება და რომ ამ საფუძველზე აგებული სახელმწიფო წეს-წყობილება ყოველთვის უფრო მკვიდრია და სასარგებლოც ყველასთვის.

ამიტომ საუკეთესო გაზეთები მოითხოვენ ამნაირ საარჩევნო წესების შემოღებას რუსეთში.

მაგრამ, ამასთანავე ითხოვენ იმასაც, რომ იყოს კენჭის ყრამდის ნება-დართული ხალხში სიარული, პროპაგანდა, აგიტაცია... საზღვარ-გარედ, სადაც, დიდი ხანია, არის შემოღებული კონსტიტუცია და ხალხიც შეჩვეულია წარმომადგენლების არჩევას და იცნობს იმათ, ვისი არჩევაც შეიძლება საერო კრებაში, მაინც საჭირო ხდება აგიტაცია, სხვადასხვა მიმართულების პირები დაიარებიან ხალხში, უხსნიან საჯაროდ თავიანთ პროგრამას და ურჩევენ ხალხს ამა თუ იმ პირის არჩევას... ამას ჰქვიან საარჩევნო აგიტაცია...

ასეთივე საარჩევნო აგიტაცია იქმნება საჭირო რუსეთში, და ზოგიერთი გაზეთი, როგორც, მაგ., „ნაშა ჟიზნ", ითხოვდა ამ უფლების მონიჭებას დაუყონებლივ.

მაგრამ ავიწყდებოდა ყველას, რომ ამნაირ აგიტაციას ექმნებოდა მნიშვნელობა მხოლოდ იქ, სადაც არსებობს პიროვნების ხელუხლებლობა, სიტყვისა და შეკრების თავისუფლება.

მართლაც, შეიძლება განა საარჩევნო აგიტაციის გაწევა იქ, სადაც არ არის დარწმუნებული ადამიანი იმაში, რომ ამ აგიტაციის გამო არ დაისჯება ყოვლად-შემძლე ბიუროკრატიის-მიერ; თუ არ ექმნება ხალხს უფლება შეიკრიბოს ერთად ამა თუ იმ ასარჩევ პირის შესახებ მოსალაპარაკებლად; იქ, სადაც ხალხს თავზე ადგია პოლიციელი და ეუბნება, გინდა თუ არა, ჩემგან დასახელებული პირი აირჩიეო, ვინაიდან სხვისი არჩევა ურჩობა იქმნება და ამ ურჩობისთვის პასუხსაც აგებ.

ყველა ჰგრძნობს, რომ ამნაირ პირობებში არ შეიძლება რიგიან წარმომადგენლების არჩევა და ამიტომ ზოგიერთი პირდაპირ აცხადებს,—ან ყველაფერი, ან არაფერი! დღეს არაფერი არ გვინდა, ვინაიდან საერთო მოქმედებით, ხვალ იქმნება თუ ზეგ, სრულ საარჩევნო უფლებას მიიღებს უთუოდ რუსეთის ხალხიო.

ზოგი კიდევ ზომიერებას იჩენს და ამბობს, რაცა გვაქვს, რასაც გვაძლევენ, ის მივიღოთო და სხვა—შემდეგ, როდესაც ჩვენს ხელში იქმნება რამე უფლება, როდესაც ხალხს სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში ექმნება მინიჭებული ცოტაოდენი მონაწილეობაო.

ამ აზრით ზოგიერთი გაზეთი ეხლავე ანგარიშობს, რამდენი უნდა იყოს საზოგადოდ წარმომადგენელი რუსეთში, რამდენი სხვადასხვა გუბერნიაში, თუ თითო 200,000 კაცზე იქმნა არჩეული თითო-წარმომადგენელი და არჩევანი მაზრებში მოხდა ისე, რომ თითო მაზრაში თითო წარმომადგენელი მაინც დარჩეს არჩეულიო.

მთელ რუსეთში იქმნება, თურმე, 845 წარმომადგენელი,—ამდენ წევრისაგან შესდგება მომავალი სრულიად რუსეთის საერო კრება. ეს რიცხვი იქმნება განაწილებული ასე.

ევროპის რუსეთი

არხანგელსკის გუბ.—10, ასტრახანის—7, ბესარაბიის—9 (ხოტინის მაზრა 2), ვილნოს გუბერ.—8 (ვილნოს მაზრა 2), ვიტებსკის გუბერ.—11, ვლადიმირის—13, ვოლოგდის—10, ვოლინის—14 (ჟიტომირის და ნოვოგრად-ვოლ. ორ-ორი), ვორონეჟის—13 (ბოგუჩარის მაზრა 2), ვიატკის გუბ.—14, (გლაზოვის, სარაპ.-დაიარან. ორ-ორი), გროდნოს—9, დონის სამხედ. ოლქი—11 (დონეცის და ტაგანროგი—ორ-ორი), ეკატერინოსლავის—10 (ეკატერინოსლ. და ბახმ. —2), ყაზანის—14 (ყაზანისა და ჩისტოპოლის—ორ-ორი), კალუგის—11, კიევის—18, (ქ. კიევი—1, კიევის, ვასილკოვის, რადომის, უმანის და ჩერკასკის ორ-ორი), კოვნოს—7, კოსტრომისა—12, კურლიანდიის—10, კურსკის—15, ლიფლიანდიის 10 (ქ. რიგა—1), მინსკის—9, მოგილევის—11, მოსკოვის—18 (ქ. მოსკოვი—5), ნიჟეგოროდის—11, ნოვგოროდის—11, ოლონეცის—7, ორენბურგის გუბ.—8 (ორენბურგის—3, ჩელიაბინსკის—2), ორლოვის—12, პენზასი—10, პერმის—15 (ეკატერინბ., ოსიანსკის, შადრ.—ორ-ორი), პოდოლსკის—13 (ბალტის—2), პოლტავის—15, პსკოვის—8, რიაზანის—12, სამარის—13 (სამარის, ბოგულმის, ბოგურუსლ., ნიკოლ. და ნოვოუზ.—ორ-ორი), ს.-პეტერბურგის - 14 (ქ. პეტერბურგი—6), სარატოვის 13, (სარატ., ბალაშ., კამიშ.—ორ-ორი), სიმბირსკის—8, სმოლენსკის—12, ტავრიჩის—10 (ბერდიანსკის და მელიტოპოლის), ტამბოვის—15 (ტამბ., ბორისოგლ. და კოზლ.—ორ-ორი), ტვერის—12, ტულის—12, უფასი—12 (უფასი, ბელებ, მენზ., სტერლიტ.—ორ-ორი, ბირის—3), ხარკოვის—13 (ხარკოვისა და სტაროზელსკის—ორ-ორი), ხერსონის—13 (ქ. ოდესა—2), ჩერნიგოვის—15, ესტლიანდიის—4, იაროსლავის—10,—სულ 572.

კავკასია.

ბაქოს გუბ.—6, დაღესტნის მხარე—9, განჯის გუბ.—8, ყარსის ოლქი—4, ყუბანის ოლქი—9 (ლაბინის და თემრიუკის—ორ-ორი), ქუთაისის გუბ.—10, სტავროპოლის გუბ.—5, თერგის ოლქი—7, ტფილისის გუბ.—10, ჩერნომორიის გუბ.—3, ერევნის გუბ. 7. სულ 78.

ციმბირი.

ამურის ოლქი—1, ენისეის—7, ზაბაიკალის—8, ირკუტსკის—5, პრიამურის—9, ტობოლსკის—10, ტომსკის—10 (ბერნაულის—3, აჩიასკის—2), იაკუტსკის—5. სულ 55.

პოლონეთი.

ვარშავის გუბ.—17 (ქ. ვარშავა—3), კალიშის—8, კელეცკის—7, ლომჟის—7, ლიუბლი-

ლო მოურავის წინადადება და დაადგინა: მოწვეულ იქმნას ახალი დირექტრისა, შეიცვალოს სასწავლებელში თანამდებობანი ისე, რომ მათ შორის თანაბრად იყოს განაწილებული მუშაობა.

✦ როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, ამ ბოლო ხანებში ზოგიერთი **ბოროტ-განმზრახველები სარგებლობენ გლეხთა მოძრაობით და ხალხსა ძარცვავენ**. ამ ორი დღის წინად თხუთმეტამდის შეიარაღებული ოსი დასცემია სოფ. ხვედურეთში თავ. დ. კ. ციციშვილის სახლს, გაუტეხია იგი და, რაც კი რამ ყოფილა სახლში, სულ ერთიანად გაუტანია. შემდეგ გაუტეხიათ ღვინის მარანი, მოუხდიათ ქვევრები და გათენებამდის ღვინო უსვამთ. იმავე ღამეს გაუტეხნიათ სახლი ყოფილ მომრიგებელ-შუამავლის თავ. გ. ციციშვილისა და იარაღი და ვერცხლეულობა წაუღიათ.

✦ იქიდანვე გვატყობინებენ, სოფ. მეჯვრისხევში და ახლო-მახლო სოფლებში კაზაკებს **შეუპყრიათ სოფლებში მოსიარულე რვა კაცი და შეკრულები** გორისკენ წამოუყვანიათ. გზაზე კაზაკებს დასწევია შვიდი სოფლის გლეხკაცობა და მოუნდომებია დაჭერილების განთავისუფლება, მაგრამ ვერას გაჰხდარან, რადგან კაზაკთა რიცხვი ასს კაცს აღემატებოდა.

✦ პარასკევს, 25 მარტს, ტფილისის საბჭოს დარბაზში კავკასიის **ბეჭვდითი სიტყვის მუშაკთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება იყო**. კრებას დაესწრო ასამდის წევრი. კრებაზე, სხვათა შორის, წამოითქვა ის აზრი, რომ კომისიისაგან შედგენილი საზოგადოების წესდება ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს და საჭიროა მისი ხელმეორედ შემუშავებაო. კრებამ დაავალა გამგეობას, გადასინჯოს წესდება, შეავსოს იგი და წარუდგინოს საგანგებო კრებას, რომელიც მოწვეულ იქმნება მაისის შუა რიცხვებში. კრებამ გადასწყვიტა, წევრთა მიღება დ გამორიცხვა მიანდოს გამგეობას. დასასრულ კრებამ ბარათებით აირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ვ. დ. ყორღანოვი, ლ. დ. ყიფიანი, გ. მ. ლასხიშვილი, ფ. ი. მახარაძე, ს. კ. მიხაილოვი და რ. ა. იოანისიანი. მათ კანდიდატებად: ფ. გ. გოგიჩაიშვილი, პ. სურგულაძე, ბ-ნნი ლაზარევი და ჯაბარი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ან. ღულაძე, ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და ბ-ნი ხატისოვი, მათ კანდიდატებად: კ. ი. ჯაფარიძე, ვ. ი. მინარევი და ვ. ვ. ზაგურსკი.

✦ **ბ. ენფიაჯიანცმა მოახსენა ტფილისის გამგეობას**, წყლის მილები უკვე მზად არის, ერთი ნაწილი მილებისა უკვე ჩავიბარეთ, რაშიაც 14,000 მანათი უნდა მივცეთო. იმედია მეორე მილის გამოყვანას მალე შევუდგებითო.

✦ სამშაბათს, 22 თებერვალს, ქუთაისში, რესტორან «იალტაში» სტრაჟის მთვრალ ერთ ოფიცერს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს **მოხელისათვის მარცხენა ხელის შუა თითი სრულიად მოუჭრია** და შუბლის კანი გადაუთლია. ამ რაინდს ერთი ჩვენებური ახლად დაჯილდოვებული „ჩათუქესანი" მფარველობს თურმე. ამ „მშვიდობიანობის დამცველ" რაინდისათვის ეს პირველი მაგალითი არ ყოფილა. ცირკში წარმოდგენების დროს რევოლვერს ისვრის, ქუჩაში მეეტლეებსა სცემს, ლოთობს, ჩხუბობს და ამგვარად «იცავს» წესიერებას.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭომ **განიხილა მოწერილობა კავკასიის საექიმო მმართველობისა**, რომლითაც იგი სთხოვდა 2267 მან. და 34 კ. გადაედო საბჭოს საბებიო ინსტიტუტის საშუალების გასაძლიერებლად; მთავარ-მართებლის საბჭომ შეიწყნარა.

✦ **სოფელ კოჯორში წითელა გავრცელებულა** და ბევრიც უმსხვერპლია. წითელამ **სოფელ წავკისშიც იჩინა თავი**.

გუშინ, 20 მარტს, დილის 4 საათზე, ვიღაც დასცემია ტფილისის სადგურის უმფროსის თანაშემწეს, **კრეისლერს და ხანჯლით თავში მძიმედ დაუჭრია**. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს. კრეისლერი რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს.

ქუთაისის ცხოვრება

ოკრიბის ამბების გამო. გ. ზდანოვიჩის ცნობა. ქუთაისის საურთიერთო ბანკის კრება. გენერალ-გუბერნატორის თ-დ ორბელიანის ახალი სავალდებულო დადგენილებანი.

ოკრიბის ბოქაულის არსენიშვილის მოხსენებით იქაც დაწყებულა ხალხში მოძრაობა, იქაც ხალხი უარს უცხადებს მამასახლისებს, ჩინოვნიკებს და საერთოდ მთავრობის კაცებს. ბევრგან უთქვამთ მამასახლის და ბოქაულისათვის, კანცელარიიდან ქაღალდები გამოიტანე, დასწვი და მოგვშორდიო. ბოქაულის მოხსენებით გუშინ ქუთაისის მაზრის უფროსმა თათარხან დადიშქელიანმა უკვე წაიყვანა ოკრიბაში ორასამდის კაზაკი და სტრაჟნიკები. ტყიბულში ჯერაც ვერ უპოვნიათ 7,000 მანათის წამღებნი.

⁂

გ. ზდანოვიჩმა პეტერბურგიდან აცნობა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს, რომ იმ კომისიამ, რომელსაც მიენდო მთა-მადნის მწარმოებელთა საზოგადო დებულებანი შეემუშავებინა,—უკვე დაიწყო თვისი კრებები და ძირითადი ცვლილება შეაქვს სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტშიო. საბჭოსაგან ზდანოვიჩს მოუთხოვია კარტოგრამები ჭიათურის ქვა-მადნის მიდამოებისა ამ კრებებზე წარსადგენად, რომელიც უკვე გაუგზავნეს.

⁂

დღეს დანიშნულია ქუთაისის საურთიერთო ბანკის მორიგი კრება. კრებაზე უნდა განიხილონ: 1. 1904 წ. ანგარიში, 2. ხარჯთ-აღრიცხვა 1905 წლისათვის, 3. საზოგადო კრებისაგან არჩეულ კომისიის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია ბანკის ახლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა, 4. არჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრის და მათის კანდიდატებისა. ახლანდელ კრებას სალაპარაკო ბევრი არაფერი დარჩენია, რადგან ორი სამი თვის წინად ამ ბანკის ახლანდელი მდგომარეობის გამოსარკვევად ბევრიც ილაპარაკეს და გაცხარებული ბრძოლაც იყო, რომლის შედეგად განახლებული გამგეობაა. ვნახოთ ახლა რას იტყვის იგი ძველთა ნამოქმედარის შესახებ და ხედავს თუ არა ნიშნებს ამ ბანკის საქმეების გამოგვარებისას. აი ეს საკითხი კი საინტერესოა და იმედია ახლები გულახდილად იტყვიან თავიანთ აზრს დ თუ ცოტაოდენი ხელის შეწყობით იგი გამობრუნდება,—არც საზოგადოება დაიზარებს ხელის შეწყობას.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი" № 80)

გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობის შესახებ შემდეგი ცნობებია:

14 მარტს დაარბიეს დიცის სასოფლო სამმართველოს კანცელარია, გაანადგურეს საბუთის ქაღალდები და ყველა საქმეები მოსპეს. იმავე დღეს, როგორც უკვე იუწყებოდნენ, ქალ. გორში შეიკრიბნენ ადგილობრივნი მცხოვრებნი, კეტებით შეიარაღებულნი, და თავს დაეცნენ 6 ჯარის-კაცს, რომელნიც ყაზარმიდან სატუსაღოში მიდიოდნენ დარაჯთა რაზმის გასაძლიერებლად. თავდასხმის დროს დარაჯებმა მოჰკლეს ორი კაცი და შვიდი დასჭრეს. მეტეხის საზოგადოებაში გლეხებმა ძალის-ძალად გადააყენეს თანამდებობიდან სოფლის მოხელენი, დაჰკეტეს სოფლის სამმართველოები და მემამულეებს ძალის ძალადვე ჩამოართვეს რაღაც ხელწერილები, ამასთანავე, მემამულეთა მოსამსახურენი დაითხოვეს და უთხრეს,—მაგათ აღარ ემსახუროთო. წუნარისა, დიცისა, ბელოთისა და ყორნისის საზოგადოებათა გლეხებმა (ცხინვალის საბოქაულო) ერთად თავი მოიყარეს, შეადგინეს დიდი ბრბო სოფ. ყორნისში და მღვდელს შეუთვალეს: შემოგვფიცე ერთობა, ერთად მოქმედება, თორემ მოგკლავთო; ამის გამო მღვდელი იძულებული შეიქმნა ყველაფერში დასთანხმებოდა გლეხობას. სოფ. დიცში გლეხებმა აიკლეს საეკლესიო სამრევლო სკოლა და სოფ. ბელოთში დაარბიეს სასოფლო კანცელარია და დასწვეს საქმეები და ქაღალდები; სოფ. ტირძნისში გლეხებმა აიძულეს მამამულე სულხანიშვილი ოჯახობით თავის მამულიდგან წასულიყო, დასწვეს ზოგიერთი მისი შენობები და დაითხოვეს მოსამსახურეები. ცეცხლი, საბედნიეროდ, დროზე ჩააქრეს. სოფ. დირბში, მაცხოვრის საფლავის სახელობის მონასტრის მამულში, გლეხებმა სცადეს რამდენისამე ბელლისთვის ცეცხლის წაკიდება, მაგრამ ვერ მოახერხდა, რადგან გლეხების განზრახვა დროზედ შეიტყეს. სოფელ რუისში გლეხებმა სხვადასხვა პირების კუთვნილი ხუთი წისქვილი დაანგრიეს, დაანგრიეს მღვდლის ინაშვილის სახლი, სოფლის სამრევლო სკოლა და სამმართველო; სოფლის სამმართველოს მოხელეები დაითხოვეს. ს. ძველ ფლავში გლეხებმა თავის ნებით გაჩეხეს ტყე თავ. ერისთვისა, თვით თავადი აიძულეს იქიდან წასულიყო. დაითხოვეს მოსამსახურეებიც. სოფ. ქსუისში გლეხებმა გააძევეს აზნაური უთნელოვი ოჯახობით, იმ პირობით, რომ უკეთუ ისევ დაბრუნდება—მოკლულ იქნება. ამის შემდეგ აზნაურის მამულში ტყის ჩეხვა დაიწყეს... 16 მარტს სოფ. შინდისში 600 კაცამდე სხვადასხვა სოფლის გლეხი გარს შემოერტყა სასოფლო კანცელარიას, დაამტვრია ფანჯრები, შეანგრია კარები და სხვ. სამხედრო დარაჯებით მისულს ბოქაულს გლეხებმა შეუთვალეს—ახლოს არ მოხვიდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველას ამოგხოცავთო. შემდეგ გლეხებმა სასოფლო კანცელარიიდან გამოიტანეს და დახიეს ხელმწიფე იმპერატორის სურათი.

17 მარტს სოფ. აჩაბეთში ხალხი ათასობით შეიკრიბა, დაანგრიეს სოფლის კანცელარია და დასწვეს ყველა ქაღალდები და საქმეები.

სადღეისო

მტერ-მეგობარი...

—

ტანზე—მუნდირი, თავზე—ქუდი, ქუდზე—კაკარდა... დიდი კაცია,—დაიჯერეთ,—ჩინოვნიკია! მის სატრფიალო მარტოოდენ ჯამაგირია, თბილი ადგილი, კარგი ჯილდო, უფროსის ქება!.. ამის გულისთვის არ დაზოგავს ძმას და მეგობარს, გაჰყიდის ერსაც, დაჰგმობს მამულს და ეროვნებას...

ხალხთან გულზვავი, მკაცრი რამე, ულმობელია,—უფროსებთან კი თავს იმცირებს, ფეხქვეშ ეგება, სხვას იმონავებს თვითონ მონა, მონა გახრწნილი, სხვას სჩაგრავს, ამით გულს იმშვიდებს, ბედნიერია!...

ჩინ-ორდენებში მან გასცვალა პატიოსნება, დაჰგმო მამული, დაჰგმო ერი და ეროვნება, ცდილობს უფროსებს ემსახუროს, რითმე აამოს, მოძმე დასჩაგროს, მის დაჩაგვრით ჯილდოც მიიღოს...

ჯილდო...რად უნდა მეტი ჯილდო, განა არ კმარა, რომ ქუჩა-ქუჩა დასეირნობს, როგორც ბატონი, ტანზე—მუნდირი, თავზე—ქუდი, ქუდზე—კაკარდა,—დიდი კაცია,—დაიჯერეთ,—ჩინოვნიკია!...

—

ამ ქვეყნის შვილი რას გვარგია, თუ არ მოიშლის, ჩვენთან მტრობასა, სხვის მონობას, უაზრო ქცევას, თუ გაგვიყიდა ჩინ-მუნდირში სამშობლო ენა და მოისურვა ჩვენი ქვეყნის გადაგვარება?

რაში გვარგია?! ჩინი-მუნდირი ჯილდოა მისი, ჯილდოა, რადგან მან შესწირა სამსახურს თავი, ჯამაგირს იღებს თვეში ერთხელ, კუჭ-მაძღარია,—რად უნდა ერი ან მამული,—მეტი ბარგია!..

სიტყვით ვერ ჰბედავს ჩვენთან მტრობას, კუდს აქიცინებს, ამბობს, რომ უნდა მოიხვეჭოს რამე უფლება, რომ შემდეგ ამით ისარგებლოს და დაუბრუნოს ხალხს დედა-ენა, რომელსაც ახლა სპობს თვითონვე და ემტერება...

ძმა ძმას დაშორდა მის მიზეზით, მტრობა შეიქნა იქ, სადაც უწინ იყო ძმობა, იყო ერთობა,—რა ენაღვლება, თვითონ მეტად კმაყოფილია,—ტანზე მუნდირი, თავზე ქუდი, ქუდზე—კაკარდა!

—

ვნახე,—მოვიდა, საუცხოვო სანახავია! ტანზე მუნდირი, თავზე—ქუდი, ქუდზე—კაკარდა, პალტოს წითელი სარჩული აქვს, დინჯად ბაასობს, დიდი კაცია, ბატონია, ჩინოვნიკია.

და დიდი კაცი, ჩინოვნიკი თავს იქებს ჩემთან: მოღვაწეობით დატვირთული ჩემი ცხოვრება ფეხქვეშ გასთელეს, შემარცხვინეს პირადმა მტრებმა.

მამულიშვილი მუდამ ვიყავ, ახლაც ვიქნები ქვეყნის ერთგული, ერის შვილი, მისთვის მებრძოლი, და ყურადღებას ნუ მიაქცევთ, თუ არ მივარგა:

ტანზე მუნდირი, თავზე ქუდი, ქუდზე კაკარდა.

—

ვერწმუნოთ განა, მაშ რა არის, რომ მისი შრომით სასწავლებლიდან განიდევნა ქართული ენა, რომ ჩვენი მოძმე მოგვაშორა, გადააგვარა, ღვარძლი დასთესა, ხალხის გული გადაიმტერა!..

რომ ქვეყნის მტერსა თან დასდევდა, ხელსაც უწყობდა,—ციხე შიგნიდან გაგვიტეხა, მოგვისპო ძალა, რომ საამისოდ არ ზოგავდა შრომას და ღონეს, სხვისმა ერთგულმა, ულალატა სამშობლო მხარეს?

რომ მთელი ერი აუმხედრდა, თვალ-ახილულმა რომ დაინახა მისი მტრობა და ორგულობა, რომ აღარა ჰყავს ჩვენში მომხრე, ვინმე მოსარჩლე, რომ დაეკარგა ხალხის ნდობა და სიყვარული და მთელ სიცოცხლის შრომისათვის დარჩა მას ჯილდოდ:

ტანზე მუნდირი, თავზე ქუდი, ქუდზე—კაკარდა!..

ნ. ნ.

პრესსა

გლეხთა და მემამულეთა შორის ურთიერთობა გამწვავებულია დღეს არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთშიაც, სადაც გლეხთა მოძრაობა თანდათან იზრდება და საშიშ სახეს იღებს. ამ მოძრაობაზე ლაპარაკობს ამჟამად მთელი რუსეთის პრესსა და, აი, სხვათა შორის, ამ საგანზე რას ამბობს „რუსული ვედომოსტის" თანამშრომელი ა. მაქსიმოვი:

„კურსკის, ორლოვისა და ჩერნიგოვის გუბერნიებში გლეხების მოძრაობას ყურადღება მიაქცია რეაქციის მომხრე რუსულმა გაზეთებმაც, რომელთა აზრითაც დღევანდელი გლეხების მოძრაობა გამოწვეულია მავნე პირთა ფარულ აგიტაციით; აგიტატორებს გაუნათლებელი, უგუნური გლეხობა უბრალო იარაღად გაუხდიათ თავიანთ მიზნების მისაღწევადაო. მოვლენის ამ ნაირი ახსნა, რასაკვირველია, ძლიერ ადვილი და ხელსაყრელიც არის, რადგანაც მთელ მოძრაობას ამნაირად მხოლოდ შემთხვევის ხასიათს აძლევენ და მის მოსასპობად მიაჩნიათ საკმარისად პოლიციის ჩარევა, მაგრამ ამ ნაირი აზრი სინამდვილეს ძალიან დაშორებულია და შემცდარი.

დანამდვილებით იმის თქმა, რომ ეს მოძრაობა თავის-თავად გაჩნდა და აგიტაციას აქ ადგილი არა აქვსო—ძალიან ძნელია. შეიძლება იყვნენ აგიტატორებიც, მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს ნებას,—მთელი მოძრაობა ამ აგიტაციების წაქეზებას მივაწეროთ. ჩვენი დროის სოფელი თვითონ იძლევა ისეთს ელემენტებს, რომელნიც თანამედროვე მოძრაობას თავში უდგებიან, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც სხვადასხვა ქარხნების სიახლოვე მრავალ გლეხკაცობას ბედის საძებნელად მიერეკება სოფლიდან. მაგრამ ამ „შინაური" აგიტაციების მნიშვნელობაც მაინცდამაინც არ უნდა გავაზვიადოთ, ამნაირი აგიტატორები მხოლოდ გამოსთქვამენ გლეხების სხვადასხვა სურვილს და მისი წყალობით აქა-იქ უკმაყოფილების მიმალული ცეცხლი იჩენს თავს,—თვით ამ უკმაყოფილების მიზეზი უნდა ვეძებოთ სხვაგანა.

საზოგადოდ მოძრაობას ჰქმნის ესა თუ ის აგიტატორი კი არა, არამედ გლეხთა ცხოვრების პირობები, მათი სრული უვარგისობა, ეკონომიური სიღატაკე გლეხ-კაცობისა და მისი უუფლებობა. საკმარისია, ნახოთ ის ადგილები, სადაც გლეხების მოძრაობაა, რომ მიხვდეთ იმას, თუ სად არის დამარხული ამ მოძრაობის მიზეზი. რად ღირს მარტო გვერდზე წამოქცეული ჩალით დახურული ქოხები, ჭუჭყი და სიბინძურე ქოხში, საქონლისა და ადამიანების ერთად ყოფნა—ყველა ეს ნათლად დაგვანახვებს, რომ გლეხის ცხოვრება მეტად გაჭირვებულია. მართლაც, გლეხ-კაცობას ძლიერ პატარა ნადელები აქვს მიჩენილი, ისიც იმნაირად დანაწილებული, რომ გლეხ-კაცის ბედს მემამულე განაგებს. გლეხს არა აქვს საბალახო, არა აქვს წყალთან მისასვლელი ადგილი და სხვ., რის გამოც შეუძლებელია ერთმანერთზე გადაბმული მამულები საქონლისგან განადგურებას გადაარჩინოთ. ამ ზარალისთვისაც ხომ დიდი ჯარიმა არის დადებული. აქაურ მხარეში უფრო მსხვილი მემამულენი ცხოვრობენ, რომელთა შორის ზოგიერთებს 100000 დესეტინაცა იქვთ საკუთრებად. ამისთანა მემამულეს და გლეხებს შორის ურთიერთობა ფორმალურ ნიადაგზეა დაყენებული: გლეხს აქ არაფერს უთმობენ და მის საჭირბოროტოს ყურადღებას არავინ არ აქცევს. სისტემატიური შევიწროება და უყურადღებობა გლეხ-კაცობის უკმაყოფილებას ცეცხლს უკიდებს და ურთიერთობა გლეხებისა და მემამულეთა შორის თან-

---

ნის—10, პეტროკოვის—10 (ქ. ლოძი—2), პლოცკის გუბ.—7, რადომის—7, სუვალკის—7, სედლეცკის—9. სულ 89.

კასპიის იქითა მხარე.

აკმოლინის ოლქი—5, კასპის იქითა—5 (სამარყანდის ოლქი—2), სამარყანდის—5, სემიპალატინსკის—5, სემირეჩენსკის—6, სირდარიის—7 (ტაშკ. 2), ტურგის—4, ურალის—4, ფერგანის—10, მარგელანის, ანდიჯ., კოკანდის და ნამანგ.—თითო, სულ—51, ან სულ ერთიანად 845.

ამ ანგარიშით ქართველებს, სომხებს და თათრებს ეყოლებათ ასარჩევი ამიერ-კავკასიაში ერთად 54 წარმომადგენელი, პოლონელებს თითქმის 120, ურიებს 15, ყაზანის თათრებს. მოლდაველებს, მალოროსებს, ლატიშებს, გერმანელებსა და სხვა „ინოროდცებს" კიდევ 100—130, კასპიის იქითა მხარეს 51 ამნაირად არა რუსების ხელში იქმნება თითქმის 320—350 ხმა, ან საერო კრების მესამედზე მეტი.

უმეტესობა მაინც მკვიდრ რუსთა ხელში რჩება დ საფიქრებელია, რომ ზოგიერთ კითხვაში ესენი ერთობით იმოქმედებენ საპოზიციო „ინოროდცების" საწინააღმდეგოდ.

რუსეთში, სადაც მრავალი სხვადასხვა ერი სცხოვრობს, საერო კრების მოწვევას, ხალხის გამოფხიზლებას უთუოდ მოჰყვება ზოგიერთ, დღეს დაჭვეითებულ და დამონებულ ერის აღორძინება და რუსეთს ვერ ასცდება ის ეროვნული შუღლი და მტრობა, რომელსაც ამ ჟამად ვხედავთ ავსტრო-უნგრეთში.

იქ გერმანელები უწინ ბატონად იყვნენ. გერმანული ენა მთელ ავსტრო-უნგრეთში სახელმწიფო ენად იყო ჩათვლილი და მთელი სახელმწიფო გერმანულ სახელმწიფოდაც ითვლებოდა, მანამ არ იქმნა შემოღებული კონსტიტუცია. ხალხის წარმომადგენლობამ გამოაფხიზლა ყველანი. უნგრელებმა, ჩეხებმა, პოლონელებმა, სლავიანებმა და სხვებმაც მოითხოვეს ეროვნული სასწავლებელი, ეროვნული სასამართლო, ეროვნული ადმინისტრაცია, მოითხოვეს, რომ იმათ საზღვრებში სახელმწიფო ენად ითვლებოდეს მათივე ენა.

ასტყდა საშინელი ეროვნული განხეთქილება. უნგრელებმა თითქმის სრულიად მიაღწიეს თავიანთ საწადელს, სხვებმაც თანდათან, მედგარის ბრძოლით გამოჰგლიჯეს გერმანელებს ზოგიერთი ეროვნული უფლება, თუმცა ეს ბრძოლა დღემდის არ დასრულებულა და დღესაც გერმანელები ვერ შეჩვევიან იმ აზრს, რომ ავსტრიაში, რომელიც წინად გერმანულ სახელმწიფოდ იყო, დღეს გერმანელებს აღარა აქვთ გავლენა.

ავსტრიის მაგალითი საგულისხმოა იმათთვის, ვინც ლაპარაკობს მომავალ რუსეთზე, ვინაიდან საფიქრებელია, რომ აქაც გამოჩნდება ზოგიერთი რუსი, რომელიც წინ აღუდგება სხვადასხვა ერის ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, როგორც საშიშ რასმე, საშიშს იმიტომ, რომ მას უნდა მოჰყვეს რუსული ენის შეზღუდვა, მისი გავრცელების შემცირება რუსეთში.

ამიტომ არის, რომ ფინლიანდიელები და პოლონელებიც ამბობენ, საერო კრებაში მონაწილეობის მიღება ჩვენთვის ვერაფერი სახეირო შეიქმნებაო, იქ დაუსრულებელი ეროვნული ბრძოლა უნდა ასტყდეს რუსებთან და ამიტომ, სჯობია, ეხლავე საქმე უფრო სამართლიანად მოეწყოს, ისე, როგორც ახლაა მოწყობილი ფინლანდიაში.

იქ არსებობს საკუთარი საერო კრება, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ადგილობრივ საქმეების მართვასა და გამგეობაში,—რუსეთის უმაღლეს მთავრობას და რუსეთის საერო კრებას არა აქვს და არც ექმნება უფლება გაერიოს ფინლიანდიის შინაურ საქმეებში; ამიტომ შეუძლებელი ხდება იქ ეროვნული განხეთქილება, ხალხი მშვიდობიან განვითარების გზას ადგია და ამის გამო ისეთნაირად განვითარდა, რომ დღეს რუსეთში ფინლიანდია ყველაზე უფრო განათლებულ კუთხეს წარმოადგენს, ყველაფრით დაწინაურებულს ქონებრივად და გონებრივადაც.

„ჩვენთვის, როგორც ცალკე ეროვნებისთვის,—ამბობენ პოლონელები,—საჭიროა ადგილობრივ საქმეთა მართვა-გამგეობაში სრული თავისუფლება; ჩვენ გვინდა ადგილობრივი საერო კრება და არა სრულიად რუსეთის საერო კრებაში მონაწილეობის მიღებაო.

—*

წერილი მეგობარ ქალთან.

—

ტასია! იმდურები თურმე: ამდენს ვაკაკუნებ სამოთხის კარებს და კარის გამღები კი არავინ არისო. არ ვიცი, გულწრფელად ამბობ ამ სიტყვებს, თუ მარტო კეკლუცობ, მარტო ბუტიაობ? მე-კი რომ მკითხო, სამოთხესაცა და ჯოჯოხეთსაც კაცი თითონვე ჰქმნის, და თუ ადამიანი [illegible] პირად სდგას, სულ თუ არა, ნახევრად მაინც თითონვე არის დამნაშავე. ნათქვამია: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. მაგრამ ამ ჩემ აზრს შემდეგ დაგიმტკიცებ, ახლა-კი მსურს ჩემი გარემოება შეგატყობინო.

თუ არ დაგავიწყდა, გეცოდინება, რომ ქვემორე ამისა ხელის მომწერელი ერთი ყარიბი ვინმე გახლავარ; ბედი მე მდევნის, თუ მე—იმას, დანამდვილებით ვერ გეტყვი. ეს კია, რომ ანგელოზებმა არ მიმიღეს—ცოდვილი ხარო, ეშმაკებმა კიდევ წმინდანად ჩამთვალეს და დავრჩი ასე ორ ცეცხლს შუა. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, რომ იტყვიან, სწორედ მე დამემართა. მთელი ქვეყანა შემოვიარე, ათასი ჯურის ადამიანს ვემსახურე, მაგრამ ჩემს გაწამაწიას, მგონი, ჯერ დასასრული არ უჩანს.

შევაფურთხე ეშმაკს და დღეიდან-კი „ივერიის" ქვედა სართულში დავსადგურდი. გულახდილად უნდა გითხრა, რომ, მგონი, ჩემი ახალი ბინაც ორ ცეცხლს შუა უნდა იყოს. არც ამასა სწყალობენ ანგელოზები და, ეშმაკები ხომ სულ კბილებს უკრაჭუნებენ, ძველი ფუზი ენატრებათ.

ასეა, ჩემო ტასია! ცხოვრება ზღვაა, ადამიანი კი ერთი იოტის ოდენა ნაფოტი, რომელიც დალივლივებს ზღვის ზედა პირზე და, მის ღელვასთან ერთად, ზვირთებში ჰყუმპალაობს. მაგრამ თუ ერთი ადამიანი მეორეს დაუამხანაგდა, თუ ამ ორმა კიდევ სხვა ორი მეგობარი მონახა, ამ ოთხმა კიდევ—სხვა ოთხი და ასე დაუსრულებლად იარეს ერთობის გზაზე, ცხოვრების ზღვა გაიფიცრება და მისი გიჟური ფრთონვა დაემორჩილება გათვითცნობიერებულ მრავლესობის ნებას. სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი, როდესაც ჩემს მეგობრად დაგსახე, ქალო ტასია; ხელში აიღე თასია და გადღეგრძელე....

როდესაც რისამე დაწერას ვაპირობ, ყოველთვის გამახსენდება ხოლმე ერთი ჩემი მასწავლებელთაგანი—დაუშტეინე-ბერი მიტროფანე. აი, რა მითხრა ერთხელ იმ კურთხეულმა: „ვიდრე თხზულების წერას დაიწყებდე, პირველად ქაღალდზე დიდი ჯვარი უნდა გამოხატო. ჯვარი იგი შემწეობას გაგიწევს და ღმერთი ტექსტების ახსნას შთაგაგონებსო".

აღარ მახსოვს, მშველოდა თუ არა მაშინ დაუშტეინე-ბერის დარიგება, მაგრამ დღეს კი მისმა რეცეპტმა, ცოტა არ იყოს, გასჭრა.

შენზე ფიქრი რომ დავიწყე, ჩემო ტასია, ქაღალდზე დიდი ჯვარი გამოვხატე. ამ ჯვარმა გამახსენა მკვდრები, მკვდრებმა კიდევ—ჩემი ბიძა—კაპიტონა მწიგნობარი. . ყველა ეს ისე უცბად მოხდა, ისეთნაირად შეიპყრო ჩემი გულის-თქმა ამ მოგონებამ, რომ მართლა ზეშთაგონებით თუ აიხსნება ასეთი სისწრაფითი სრბოლა იმ სურათხატთა, რომელზედაც მინდა შენც დაფიქრდე.

მართალია, შენცა სჩივი შენს ყოფნაზე, ემდურები მამაკაცებს,—არა მკადრულობენ, მამცირებენ და, თუ თავზე თათრის ბოსტანივით აჭრელებული ფურგუნის ოდენა შლიაპა მხურავს, ან თუ თეძო-მკერდ-გვერდებით მთელის მზითვის ბალიშ-საბნებს დავათრევ—ყველა ეს სულ მამაკაცების ბრალიაო, და ჩემს გამოსარჩლებას თხოულობ, მაგრამ ამ ჟამად ვერ გამოგესარჩლები, რადგანაც ბიძის მოგონებამ სულ სხვა გუნებაზე დამაყენა. შენის მტრებისთვისაც ოდესმე მოვიცლი.

ხომა გრძნობ, რა დიადი, რა დიდებული დრო დადგა, ხომ ჰხედავ, რომ, თუ დღეს არ მოვიპოვეთ ჩვენი უფლებანი, თუნდა ეს მოპოვება სიცოცხლეთაც დაგვიჯდეს—კვლავ იძულებულნი ვიქნებით უსიხარულოდ, პირუტყვივით დავლიოთ ჩვენი დღენი და ქედ-წახრილებმა სამარის კარამდე ჭიასავით ვიღოღოთ. ხომა გრწამს, რომ, თუ დღეს არ მოვიპოვეთ ჰაერი და მიწა, შემდეგში ისევ დვორნიკი იქნება ჩვენი გუშაგი და გოროდოვოი—ჩვენი ჭკუის მასწავლებელი. ჩვენ ისევ ტიკინებად დავრჩებით და არყით გალეშილი პოლიციელი სულ „ღოსპოდინ, ღოსპოდინს" გვაძახებინებს.

ამ დიდებულ დროს, როდესაც ჰაერიც-კი თავისუფლების მოლოდინითაა გაჟღენთილი,—ჩვენ უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი თავი და გამოვსთქვათ ხალხის იდეალი, მის მტერთა მუცლის გვრემა, მის მოყვარეთა გულ-წრფელობა და თავ-გამოდება. ის, ვინც დღეს ხალხთან არის, ვინც მის კეთილ-დღეობაზე ჰფიქრობს, ის უნდა იყოს ჩვენგან პატივდებული, ის კი, ვინც მას ყოველთვის მტრობდა და ჰკრეჭდა—უნდა იყოს შეჩვენებული და დაგმობილი!... ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბიძაჩემი კაპიტონა ყოველთვის მშიშარა და პირუტყვი იყო.

ახლაც თვალწინ მიდგა მისი ხარის ოდენა ჩასისხლებული თვალები, კეცის ოდენა მუდამ ქონისა და ოფლის ჭენჭით მოთხუპნილი სახე, მისი მუდმივი წუწუნი წარმატების მიუღებლობისათვის, მისი მოშურნეობა და გაუმაძღრობა.

კაპიტონა მწიგნობარი ყოველთვის მარჯვენა ხელი იყო მონობა-მორჩილების მოტრფიალისა, ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა ძალ-მომრეობას დ თვითნებობას. არც ერთი წუთი არ ყოფილა მის სიცოცხლეში, რომ ადამიანს ადამიანურად ხმა ამოეღო, ადამიანს ადამიანური უფლებანი მოეთხოვა. ყოველთვის შიშისა და ძრწოლის მქადაგებელი, იგი უაზროდ აჰყოლოდა თავისს უაზრო, უშინაარსო ცხოვრებას. კიდევ უარესსაც ვიტყვი: იმას არ უყვარდა თავისიანები, თავისი ცოლშვილიც კი, თავისი სარწმუნოება. მუცელი იყო მისი ღმერთი და თვალბნელობა მისი მაცოცხლებელი. რაც თავი ახსოვდა (85 წლისა მოკვდა), ერთხელაც არ ამოუღია ხმა მის დამამცირებელთა წინააღმდეგ და თავისს წმიდათა-წმიდას ავანტიურისტებსა და ჯალათებს აბილწვინებდა, ჯაშუშს ემონებოდა და თავისს მოსისხლე მტერს ფეხებს ულოკავდა. თავის ფულით სხვასა ჰკვებავდა და ცოლშვილს კი მონობაში ზრდიდა, ქვეყანა იღუპებოდა და ის კი წარჩინებაზე ჰფიქრობდა! აი, ასეთი იყო ბიძია ჩემი, და მისს სიკვდილს ან გაადამიანებას მოუთმენლად მოველოდი. მაგრამ სიკვდილმა უსწრო, იგი გაადამიანებას ვერ ეღირსა. ან როგორ გაადამიანდებოდა, როდესაც საუკუნოებით გახრწნილი ხასიათი ოთხმოცსა და ოთხმოცდა ათ წელიწადში ვერ გაუსწორდებოდა. მოკვდა ბიძია და მის სიკვდილს უბედურება არა მოჰყოლია-რა, პირიქით, ჩვენს ოჯახს ერთი დამამცირებელი, გონებით გამათახსირებელი ერთი წევრი მოაკლდა. მისმა სიკვდილმა დაგვანახვა, რომ ქვეყნად მარტო ჭინკები არა ყოფილა, მარტო ზღაპრები კი არა მბობილა, არა, ჭინკა და მეზღაპრე თითონ ბიძია ყოფილა, რომ თავისს მჭევრმეტყველობით ყველას ბურანში ახვევდა და ქვეყნის მტერს მხარს უჭერდა!

მოკვდა ბიძია და ჩვენც თავისუფლად ამოვისუნთქეთ. და აი, ამ დროს გამომდგარა ერთი ჩემი ვითომდა მეგობარი და მეუბნება: შენი იდეალი—ბიძაშენის გაცოცხლებააო.

არაოდეს, უმოწყალესო ბატონო!

ჩემი იდეალი—**ადამიანური ცხოვრებაა**, და ის, ვინც ამ ცხოვრების გამეფებას ხელს უშლის, ის, ვინც დიადი წუთის მოლოდინში გულ-ხელ დაკრეფილია და კვლავ მონობას ეტრფის, იგი მტერია ქვეყნისა, იგი დასანდობი არ არის, თუნდა ჩვენი ღვიძლი ძმაც იყოს!

შენც ხომ ასე ფიქრობ, ჩემო ტასია!

ი. მარჯანიძე.

დათან მწვავდება, სანამ იგი სადმე არ იფეთქებს. და, აი, სწორედ ამ ნიადაგზე დაიბადა წარსული წლის შემოდგომაზე მოძრაობა დმიტრიევის მაზრაში“.

ამ მიზეზის გარდა, გაზეთი გლეხების მოძრაობის მეორე მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ გლეხ-კაცი თანდათან ჰკარგავს პატივის-ცემას და ნდობას სოფლის მთავრობისადმი; ამ მთავრობას დღეს თუ კიდევ ემორჩილება გლეხი, ეს მხოლოდ შიშით მოსდის და არა პატივისცემით, გლეხკაცობას სოფლის მოხელეების დღეს აღარა სწამს-რა და მისგან აღარავითარ შველას აღარ მოელის. გლეხებში თანდათან იკიდებს ფეხს ის აზრი, რომ მათი პატრონობა, მათი ბედის გაუმჯობესება თვით გლეხებზეა დამოკიდებული და, აი, გლეხკაცობა ცდილობს თავის მდგომარეობა თავის ჭკუით გამოარკვიოს და თავისი ძალღონით მოიპოვოს უკეთესი ცხოვრება.

მესამე მიზეზად ბ-ნი მაქსიმოვი ომს ასახელებს. ომმა გლეხკაცობის სულიერ მდგომარეობას რაღაც არა ჩვეულებრივი ხასიათი მისცა; გლეხი დღეს გაფაციცებით კითხულობს, რად დაიწყო რუსეთმა ომი და რა მიზეზია, რომ რუსეთი ამ ომში დამარცხდა. ერთხელვე გაღვიძებული აზრი ხალხისა ყველა ამ კითხვების გამორკვევას ცდილობს და რაღა საკვირველია, რომ ბოლოს ნამდვილ მიზეზებს მიაგნო. ამ მხრივ ცნობის მოყვარე გლეხს კარგ სამსახურს უწევენ ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ჯარის-კაცები, რომელნიც საჯაროდ, ყველასთვის გასაგონად სასტიკ კრიტიკას უწევენ, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო წესწყობილებას და თავის ბედს უჩივიან. ამისანა ჯარის-კაცთან დიდძალი გლეხობა იყრის თავს, ერთმანეთს უზიარებს თავის აზრებს და ამნაირად იბადება ის უკმაყოფილება, რომლის შექმნას ამჟამად სულ უმიზეზოდ აბრალებენ გარეშე აგიტატორებს...

ავტორის აზრით, ეს სამი მიზეზი—ეკონომიური სიღატაკე, მთავრობისადმი ნდობის დაკარგვა და ომი—საერთო მიზეზებია მთელი რუსეთის გლეხობის მოძრაობისა, და თუ დღეს ზოგან იჩინა თავი ახალმა მოძრაობამ და ზოგან არა—ეს კიდევ არაფერს ამტკიცებს და სრულებით არ უკარგავს მოძრაობას იმ დიდს საზოგადოებრივ მნიშვნელობას, რომელიც მას რუსეთის ცხოვრებაში აქვს უეჭველად.

ამიტომაც შეუძლებელია მთელი დანაშაული თავზე მოვახვიოთ ვიღაც აგიტატებებს.; საჭიროა ამ მოვლენას ფრთხილად მოვეკიდოთ და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ: საჭიროა მხოლოდ საზოგადო მიზეზებზე ვილაპარაკოთ და მათი მოსპობა შევძლოთ, უნდა ვერიდოთ პოლიციურ ზომებს, რადგანაც ისინი ვერ უშველიან ვერაფერს; ჯარის მოსვლამ, მაგალითად, ჩააქრო გლეხების მოძრაობა სევის მაზრაში, სამაგიეროდ ამ მოძრაობამ იქვე, ტრუბჩევის მაზრაში, იფეთქა. დროა, წამოვაყენოთ გადასაწყვეტად გლეხების საკითხი, რომლის გადაწყვეტის გადადება დღეს შეუძლებელი შეიქმნა. მაგრამ იმავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბიუროკრატიამ ცხადად დაამტკიცა თავისი სრული უვარგისობა ამ საყურადღებო კითხვის გადაწყვეტაში.

სოფლის მასწავლებელთა გაჭირვება.

სოფლის მასწავლებლებს მოთმინების ძარღვი, დიდი ხანია, რაც გაწყვეტილი გვაქვს, მაგრამ დღემდე ხმა ვერ ამოვიღეთ; დამუნჯებული ვიყავით და ვითმენდით ყოველ-გვარ უსამართლობას. აწ კი აღარ შეგვიძლია დავმალოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა. ჩვენც გვაქვს ადამიანური გრძნობა, თავმოყვარეობა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჩვენში არ არის ერთობა. სიშორისა გამო ერთი მეორეს ვერ ვსწვდებით, წელიწადში ერთხელ ვერ ვიკრიბებით ერთად, რომ გავუზიაროთ ერთმანეთს აზრები და მოვილაპარაკოთ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ჩვენი გაჭირება ბევრ-გვარია, მაგრამ დღეს მხოლოდ ერთს მოგახსენებთ.

რა დიდ ჯამაგირებს ჩვენ ვიღებთ, რომ ფული შენახული გვქონდეს და, თუ დროზე ჯამაგირს არ მივიღებთ, ცხოვრება მაინც შევიძლოთ. ჩვენი სული მამასახლისებს უჭირავთ ხელში და მათ ნებაზეა დამოკიდებული, მივიღებთ თუ არა თავის დროზე ჯამაგირს. მაგალითად, მე და ჩემს ამხანაგებს იანვარ-თებერვლის ჯამაგირი ჯერ კიდევ არა გვაქვს მიღებული. მოვკითხეთ მამასახლისს და პირველად გვიპასუხა, „თუმცა ხაზინაში არ შემიტანია, მაგრამ აქ მოგიტანთო“, შემდეგ კი გადაუხვია და შემოგვითვალა: „რა ვქნა, ვერ მოვბოჭე, აპუნტებულია ყოველი კაცი, უარს მეუბნებიანო.“ გამოვკითხეთ ხალხს და აღმოჩნდა, რომ მამასახლისს ფული წასული წლის ნოემბერ-დეკემბერში მიუღია ხალხისგან ამ პირველ ნახევარ წლისა სავსებით, მაგრამ დღეს უნდა ისარგებლოს ამ გარემოებით, რომ „არეულობაა“, და ვითომ გაგვაცუროს. ბოლოს დაადგა ხრიკებს და გამოაცხადა, ჩვენ ოცდაათ თუმნიანი მასწავლებელი არ გვინდოდაო, ოცდა-ხუთ თუმნიანსაც დავჯერდებოდითო, ამის გამო, ოცდა-ხუთ თუმანზედ მეტი მიღებული უკანვე უნდა დააბრუნონ მასწავლებლებმაო; ამას ყრილობას გამოვუცხადებო.“ როგორ მოგწონთ, მკითხველო, ეს ხრიკები? დღეს ყოველი კაცი შრომის დაფასებას და ქირის მომატებას თხოულობს და ეს კი წასულ წელში მიღებულ ჯამაგირიდანაც პირიქით თხოულობს ნაწილის დაბრუნებას! მეორე დღეს მოახდინა სოფლის ყრილობა, მაგრამ წამლადაც არავინ მიეკარა და შერცხვენილი წაბრძანდა სახლში. შემდეგ აღარ მოგვკარებია.

ამგვარად დავრჩით ყველანი უჯამაგიროდ და დღეს შევჩერებივართ ჩვენი უფროსის განკარგულებას, რომელსაც მოვახსენეთ ჩვენი გაჭირება. ამგვარ მდგომარეობაში მეოთ მასწავლებელს შეუძლია დამშვიდებულად ემსახუროს თავის მოვალეობას? მამასახლისის ხელში უნდა იყოს სასწავლებელი და მის თვით-ნებობას უნდა ემორჩილებოდეს მასწავლებელი? ხალხმა შეიგნო, რომ მამასახლისი კანცელარიაშიც არ არის დასაყენებელი და ეხლა სკოლის საქმეში უნდა გვეხირებოდეს? ნეტავ როდის მოეღება ბოლო ამ უსამართლობას!...

ვლადო ბზვანელი.

კორესპონდენცია

ქ. თელავი. კვირას, 20 მარტს, თელავში ნადიკვრის მოედანზე თავი მოიყარა ყველა ვაჭრებისა და სახელოსნოების ნოქრებმა. კარგა ხნის სჯა-ბაასის შემდეგ გადასწყვიტეს, მაღაზიები და სახელოსნოები ღია იყოს ხოლმე დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. შემდეგ შუა ბაზრისაკენ გაემართნენ. აქ ნოქრებმა ინახულეს უსტაბაშები და თავიანთი გადაწყვეტილება აცნობეს. უსტაბაშებმა მოიწონეს მათი გადაწყვეტილება, მხოლოდ ვაჭრებს არ ეჭაშნიკათ და უკმაყოფილოდ ლაპარაკობდნენ, ჩვენ დუქნებს თავის დღეში 8 საათზე არ დავკეტავთო, მაგრამ ნოქრებმა ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქციეს და მეორე დღეს, შესრულდა თუ არა 8 საათი, გამოცვივდნენ კარში და დაიწყეს ყვირილი, შეასრულეთ ჩქარა ჩვენი გადაწყვეტილება—დაკეტეთ დუქნები, 8 საათიაო. ზოგმა იკადრა და თავისი დუქანი მაშინათვე მიკეტა, მაგრამ ზოგიერთებმა გმირობაზე დასდეს თავი და გაძალიანდნენ—დუქნებს არა ჰკეტავდნენ; მაგ., მებულკე ზ. ოჭანეზოვი. ამ უკანასკნელმა იარაღიც კი იხმარა, რევოლვერი გაისროლა კარზე მიმდგარ ხალხის შესაშინებლად. მაგრამ ხალხი ვერ შეაშინა, პირ-იქით, უფრო აადელვა. რევოლვერის გასროლა და იმისი დუქნის ყველა ფანჯრების ჩანაჭუჭება ერთი იყო. ამის შემდეგ შეტაკებაც კი მოხდა: ს. აჯიმამუდოვმა ხანჯლით დასჭრა მ. თოთრაძე. ხალხი დაიშალა.

22 მარტს საქალაქო სასწავლებლის მოწაფეებმა ლოცვას თავი დაანებეს, მოითხოვეს სასწავლებლის გამგე-ინსპექტორი და მოთხოვნილებები წარუდგინეს. უთხრეს აგრეთვე, სანამ ამ მოთხოვნილებებს არ აგვისრულებთ, სწავლაზე უარს ვამბობთო. ინსპექტორმა უთხრა, მაგ მოთხოვნილებათა ასრულება ჩემი საქმე არ არისო, მაგრამ მოწაფეებმა აღარ დაათავებინეს ლაპარაკი და სიმღერა ყვირილით: გაუმარჯოს ჩვენს მოთხოვნილებასო, გაემართნენ დედათა წმ. ნინოს სასწავლებლისაკენ. ქალებმა ვერ მოახერხეს გამოსვლა, რადგანაც მაგრად იყვნენ ჩაკეტილები. აქედან სასულიერო სასწავლებლისკენ წავიდნენ. ესეც მაგრა იყო ჩაკეტილი რკინის კარებით. მოწაფენი თავიანთი მასწავლებლებით ეზოში იყვნენ შეგროვილნი. მოსულებმა შესძახეს: გამოდით, ამხანაგებო, გვეყო სწავლის მაგივრად ამდენი წვალებაო. ინსპექტორმა მამონაიშვილმა მოწაფეთა მაგივრად უპასუხა: ჩვენი მოწაფენი სუყველაფრით კმაყოფილნი არიან და არ გამოვლენო. მაშ, ლეჩაქები დაიხურეთ სუყველამაო,—დაუძახეს გარედან მოსულებმა, მაგრამ ამ დროს მოწაფენი გარედან მოაწვნენ კარებს და ეზოში შეცვივდნენ, შეერთდნენ ერთმანეთსდა გაემართნენ ისევ ქალების სასწავლებლისაკენ. გამოდითო, უყვიროდნენ ქალებს მოსული მოსწავლენი. ცოტახნის შემდეგ გამოცვივდნენ ქალები და ესენიც შეუერთდნენ. აქედან სიმღერით გაემართნენ ბაზრისაკენ და ღვთაების გორაზე შეგროვდნენ. აქ მოწაფეებმა სიტყვა წარმოსთქვეს, შეჰფიცეს, ერთმანეთისათვის არ ედალატნათ და საღამოს 4 საათზე დაიშალნენ. აი საქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა ზოგიერთი მოთხოვნილება: ყველა საგნები ისწავლებოდეს ქართულ ენაზედ რუსული ენა იყოს როგორც ერთი საგანი; სწავლა უფასო იყოს: გადაკეთებულ იქმნას პროგრამა, რომ გათავების შემდეგ საშუალო სასწავლებლებში შესვლა შეიძლებოდეს; მოისპოს ეგზამენები, ნება გვქონდეს წარმოდგენებში სიარულისა; გაიხსნას სამეურნეო განყოფილება; ნება გვქონდეს თავისუფლად შეკრებისა და ლაპარაკისა და სხვა...

ვახო თუმანაშვილი.

სოფ. ხაშმი (ივრის ხეობა). მთელს რუსეთსა და საქართველოში დაწყებულმა გლეხთა მოძრაობამ აქაც არა ნაკლების სიმძლავრით იჩინა თავი.

კვირას, 20 მარტს, ზარის რეკით შეიკრიბა ხალხი და შერე დროშებით გაემართა თადიაშვილის (თ-ად ჩოლოყაშვილის) მინდვრისკენ, ნანოწმინდისკენ. აქვე მგროვდა სხვადასხვა სოფლის გლეხობა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. მოვიდნენ აგრეთვე მეღანლოს თათრები. დიდძალმა შეგროვილმა ხალხმა ჯვარსა და სახარებაზე ერთმანეთს ძმობა და ერთობა შეჰფიცა. ილაპარაკეს თავიანთს საჭირო-ბოროტო კითხვებზე და, სხვათა შორის, საჭიროდ სცნეს მოისპოს ტყის ბაჟი, აქციზი, დაფუძნდეს უფასო სკოლა, სწავლა სავალდებულო იყოს 16 წლამდე, სკოლაში სწავლა უმთავრესად ქართულად სწარმოებდეს, ჩვენის სოფლიდან გაწვეული ჯარის-კაცები საქართველოშივე დარჩნენ, სათავადო მამული საზოგადოდ გადაეცეს და სხვ.

ამ ყრილობას დაესწრო ადგილობრივი თავადი თ. ნ. ჩოლოყაშვილი, რომელიც მაღლობზე შედგა და ხალხს მიმართა: „ძმანო, მიმიღეთ თანასწორ ძმად. თუ თქვენ არ მიმღებთ, ჩემი სიცოცხლეც არაფრადა ღირს. იხმარეთ ჩემი ტყე-მინდორი, როგორც თქვენი სურვილია, იცხოვრეთ და მაცხოვრეთ“... ამ სიტყვების შემდეგ ხელი მოაწერა ძმათა ფიცის ქაღალდს. თავადის ამნაირმა საქციელმა ხალხი ძლიერ გაახარა, მით უმეტეს, რომ წინად მისგან არა ნაკლებ იყვნენ შევიწროებულნი. იმ დღეს ხალხი მხიარულად დაიშალა, და სულ „ძმობა“, «ერთობა» ისმოდა...

მეორე დღეს, 21 მარტს, ზარის რეკაზე სოფ. ხაშმის სამართველოსთან შეიკრიბა მთელი სოფელი. აქვე მოვიდნენ მახლობელ სოფლების მცხოვრებნი—ქართველები, თათრები და სხვ. ამ დროს მოვიდა მაზრის უფროსი, რომელსაც ხალხი გულგრილად შეეგება. მაზრის უფროსმა ხალხს ჰკითხა, რა გსურთო. ხალხმა მიუთითა აქვე სტოლზე მდებარე ქაღალდზე, რომელზედაც მოთხოვნილებანი იყო აღნიშნული. მაზრის უფროსმა სთქვა—ამ ქაღალდს წარვადგენ, სადაც ჯერ არს, და პასუხს მიიღებთო. შეიძლება რამდენიმე წელიწადი დაგვიანდეს, მაგრამ მაინც პასუხს მიიღებთო. ხალხმა მოსთხოვა—რაც შეიძლება, პასუხი ჩქარა მოგვეცით, თორემ მეტი აღარ შეგვიძლიან, შეგვწუხდით, გავმწარდითო.—მოითმინეთ, მოითმინეთო!.. მიუგო მაზრის უფროსმა—ძალიან ბევრი ვითმინეთო, მაგრამ სიმწარის ფიალა აავსოთ, მიუგო ხალხმა. სხვათა შორის, ხალხმა პირადად მოსთხოვა მაზრის უფროსს: ეს რამდენიმე წელიწადია „სასოფლო მაღაზიაში“ პური შეგვაქვს, ამჟამად არ ვიცით, სადა და ვისთან არის... გაჭირვების დრო დაგვიდგა, ჩვენს სოფელში ბევრი სიმშილით შეწუხებულია და საჭიროა შემწეობა მაცეს ამ მაღაზიიდანაო.—მაზრის უფროსმა მოთხოვნილების ერთი პირი თვითონ წაიღო და ერთი პირი დაუტოვა.

ამ დღეს ხალხმა გადააყენა მამასახლისი, ხარჯის ამკრები, მოსამართლეები (სუდიები), გზირები და მათ ნაცვლად სხვები აირჩია.

ხალხი ძლიერ გონიერად, წყნარად იქცევა და გახარებულია—ბნელში ვიყავით და ძლივს სინათლეში არ გამოვედით. არავითარ ძალმომრეობას არა ხმარობს, თუ მოწინააღმდეგე არ შენიშნა. მთელი ხალხი ისეა გაფიცული, რომ თუ ერთი მოწინააღმდეგე თავისიანი შენიშნა—თავიანთის წრიდან განდევნის.

დაწვრილებით ამაებისა და ხალხის მოთხოვნილებას მალე შეგატყობინებთ.

ორინი.

სოფ. ჭოტორი (სიღნაღის მაზრა). ამას წინად „ცნობის“ ფურცლის № 2766-ში ამოვიკითხე, რომ მთავრობას სიღნაღის მაზრაში ტოპოგრაფს გზავნის რუსეთიდან გადმოსახლებულ რუსებისათვის მიწების ჩასაბარებლად. აქ ძალიან მოკლედ არის ნათქვამი და გარეშე ხალხისთვის ადვილად გასაგონიცაა ასეთი სიტყვები. მხოლოდ მეტად ძნელია და დაუჯერებელია იმათთვის, ვის ხელშიაც იყო ეს მიწები!

უნდა აჰყარონ ის მკვიდრნი, ვინც ამ მიწით აღზდილა, ვინც ყოველი ციდა მიწა იცის და ვისი ოფლით და ვისი მამა-პაპის ძვალ-ხორცით გაპოხიერებულა ეს მიწები; ან ვინ იცის—რამდენი მსხვერპლი შეუწირავს და სისხლი დაუნთხევია ამ მიწების შესარჩენად გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ვინ არიან ეს დაზარალებულნი? ესენი არიან ჭოტორ—ნუკრიანის გლეხები ხელობით მიწის მხვნელნი.

მოგახსენებთ რომ გლეხები სულ „აპეკის“ ქვეშ არის და ამათაც თავისებური „აპეკა“ ჰქონდათ და ძალიან გულშემატკივარი აპეკუნიც გამოსჩენიათ. 30 თუ 40 წლებში [illegible] სოფ. ჭოტორის, ნუკრიანისა და მაღაროს მცხოვრებთ, რადგან ქალაქი სიღნაღი პატარაა და არ იზდება, თქვენც მოქალაქეთ ჩაეწერენით, რომ ქალაქი გაიზარდოსო. თქვენის შემოწერით ქალაქი გაფართოვდება, თქვენ ხარჯი შეგიმცირდებათ, დირსება და პატივი მოგემატებათო ძალიან ეჭვის თვალით შეუხედნიათ ამ საქმისთვის და უფიქრიათ, აქ რამე მახეს გვიგებენო, თორემ რას გვეხვეწებიანო, და გლეხთა უმრავლესობას უარი განუცხადებია. მაგრამ ძალა-მეიხე მაცხოვრობა ხომ თან დაუდევდი თვისებაა მოხელისა და ამათ გულშემატკივარ აპეკუნსაც დაუდგენებია განაჩენი და ზოგისთვის ნებით, ზოგისთვისაც ძალად მოუწერინებია ხელი და წარუდგენია, სადაც ჯერ არს. მალე ჩვენი გლეხნი „პატივცემი მეშჩანინებათ“ გამხდარან, თუმცა არც დღეს და არც მაშინ ამათ მეშჩანინობისა არა აცხიათ რა. პირველ ხანებში მართლა არა უჭირდათ რა, რაკი მამულები ისევ შერჩათ, და არავინ აცილებოდა, მაგრამ გავიდა დრო და წამოუდგნენ მიწებს. მაშინ კი იგრძნეს, როგორ მოატყუეს და რა უძირო ორმოში ჩაყარეს, და დაიწყეს კიდეც თხოვნა, ისევ სოფლად გადაგვწერეთო. რამდენიც დრო გადიოდა იმდენად ავიწროვებდნენ მიწების წართმევით. ჯერ მალაკნები ჩაასახლეს და იმათ ჩაუჭრეს მიწები, მერე მათი მიწების საჯარო ვაჭრობით გაცემა დაიწყეს და ამითი გაამძაფრეს. მერე კიდევ მოუმატეს იჯარის ფული და, რაკი გარეშე პირებიც ჩაერივნენ ვაჭრობაში, საიჯარო ფასმა უფრო იმატა და სიღნაღზე ძალად მიწერილ სოფლის მცხოვრებთ სიცოცხლე უმწარდებოდათ.

ასე იყო თუ ისე, აქამდინ მიწები მაინც ჰქონდათ, რასაც ამუშავებდნენ თავიანთ ცოლშვილისა და საქონლის საკვებად ახლა კი ესეც უნდა გამოაცალონ და სულ მთლად უმიწა-წყლოდ დატოვონ. აი, ამ გაჭირებაში ვარდებიან 8—9-ასი კომლი გლეხი და არ ვიცით, საით წავლენ. რამდენიც არა სთხოვეს მთავრობას, ისევ გლეხებათ გადაგვწერეთ, რადგან ჩვენ მოქალაქეობას ვერ მივეჩვივენით და ისევ ხვნა-თესვით გავიძრუნებთ სულსაო, იმდენი უარი მოუვიდათ და გამოუცხადეს, არა, თქვენ მოქალაქენი ხართ, მოქალაქეობა გირჩევნიათ და მოქალაქეებს კი მიწებს ვერ მივცემთო. გაუბედურნენ—სოფლურობასაც და მოქალაქეობასაც და ახლა კიდევ მიწებიც დაკარგეს და გარიყულნი დარჩნენ სოფლიდანაც და ქალაქიდანაც. რა მოელის ამ ხალხს? სწორედ ეს კითხვაა დამაფიქრებელი და შემაწუხებელი.

ვწერ ამ წერილს იმ იმედით, რომ ვინმე მიაქცევს ყურადღებას და ეგებ გამოიგონოს რამე წამალი და ან კიდევ შეიძლებოდეს საქმის შველა და მათი მიწების შერჩენა. ამასთან, არა მგონია, ეს მიწები ამოდენა ხალხმა ისე უსისხლოდ დაუთმოს ვისმე და აქ კი დიდი უბედურება მოსალოდნელი.

მოქალაქე.

ოზურგეთი. 22 და 23 მარტს, გენ. ალიხანოვ-ავარსკის განკარგულებით, დაპატიმრებულ იქმნა რამდენიმე კაცი (20-მდე), რომელთა შორის არიან: ქალაქის ექიმი გ. პოლოშვილი, კბილის ექიმი ს. ვაშაყმაძე, მასწავლებელი თ. კიკვაძე, არტისტი ალ. წუწუნავა, სოხორის მედავითნე ი. საბაშვილი და სხვები. ყველა დაპერილების ბინები გაჩხრიკეს ჟანდარმებმა, მაგრამ არსად არაფერი „აღკრძალული“ არ უნახავთ, მხოლოდ წუწუნავას აღმოსაჩნდა ორი ძველის-ძველი ნომრები ფარულ ჟურნალი „ისკრისა“.

ეს მოულოდნელი ამბები და ის ხმები, რომ კიდევ რამდენიმე ასი კაცი უნდა იქმნას დაპერილიო და ათასი სხვა ხმებიც დიდ შითქმა-მითქმასა და აღელვებას იწვევს ხალხში.

ყველა იმ პირებმა, რომლებიც კარგა ხანია გახიზნული იყვნენ და სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ, ეხლა ნელ-ნელა იწყეს აქ ჩამოსვლა.

მაზრის უფროსმა ჯაფარიძემ აღარ გაამართლა ხმები და სამუდამოდ მოშორდა ოზურგეთის მაზრას. მის ადგილზე მისი თანაშემწე ქელბაქიანი ინიშნება.

24 მარტს ორი სოტნა კაზაკები წავიდნენ აქედან, როგორც ამბობენ, ქართლისაკენ.

პ. აბაშიძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

26 მარტი.

პეკინი, 25 მარტი. იაპონელები დაჩქარებით აწყობენ რკინის გზის ლიანდაგს ფინხუანჩენიდან ლიაოიანამდის.

სინგაპური. ნავთსადგურის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გამოჩნდა ერთი სამხედრო გემი.

სინგაპური, 25 მარტი. ერთმა გემის უფროსმა განაცხადა, პენანგის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დავინახე იაპონიის 11 სამხედრო გემი სხვა დაწვრილებით არაფერი შეუტყობინებია.

ბატავია. ჩინეთის ჯონკებზე ჩამოსულები ამბობენ, რომ იაპონიის სამხედრო გემები ათვალიერებენ ყველა სრუტეს, სადაც როჟდესტვენსკის შეუძლიან გასვლა ჩინეთის წყლებისკენ. ნაღმოსნები და კრეისერები მოსჩანდა ზონდის სრუტეში და ფლორესის და ბალის სრუტეებშიაც. ღამ-ღამეობით ცეცხლს აქრობენ გემებზე.

ტოკიო. სეულ-ფუზანის რკინის გზა 12 მარტს იქნება გახსნილი. პრინცი ლეოპოლდი პრუსიელი ჩაიდა პეკინში და ხვალ წარსდგება ჩინეთის მეფესთან. გამომჟღავნდა ორი ბოროტმოქმედება სამხედრო უწყებისათვის სხვადასხვა მასალის ყიდვის საქმეში. წარმომადგენელთა კრებამ გადასწყვიტა მოსთხოვოს მიკადოს დამნაშავეთა სასტიკი დასჯა.

ლონდონი. ბარონი სუემაცუ ერთ ჟურნალში სწერს, რომ იაპონია არაოდეს არ დასთანხმდება ზავის ისეთ პირობებს, რომელიც მხოლოდ დროებით ჩამოაგდებს მშვიდობიანობას. იაპონიას უნდა ერთ ორ თაობას მაინც ჩამოაშოროს რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში. იმის შესახებ, ვითომც იაპონია ამერიკის და ინგლისის წინადადებით კონტრიბუციის მიღებაზე უარს იტყვის, სუემაცუ აცხადებს იაპონია თავის თავს შეურაცხყოფილად ჩასთვლის, ვინმემ რომ მისთვის მეგობრობის გულისთვის განაცხადოს უარი თავისი სამართლიან მოთხოვნილებაზეო.

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 25 მარტის თარიღით: ჩვენი ჯარის შეტაკება იაპონელებთან ცინციანტუნის მახლობლად დაიწყო 22 მარტს და 12 საათის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ჩვენმა არტილერიამ დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს. ჩვენ მოგვიკლეს თავადი მასალსკი და 4 კაზაკი. დაიჭრა გარტმანი ჩერეინსკი და 2 კაზაკი. 23 მარტს ჩვენმა მოხალისეებმა დაახვედრეს იაპონელებს ტაიპლიასისკენ, 24 მარტს ჩვენმა ქვეითა ჯარმა განდევნა იაპონელები ს. კუკშიდან. იაპონელებმა სიჩქარით დაიხიეს უკან ჩვენი ჯარის მიახლოვებაზე.

ბუბლინენი. პონტონის ხიდზე 33 პოლკის გადასვლის დროს, ხიდი ჩაიშალა და სალდათები და აფიცრები ჩაცვივდნენ წყალში. მრავალი მათგანი დაიხრჩო.

სტამბოლი, 25 მარტი. მაჰმადიანებში მღელვარება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პრიზრენში მართლმადიდებელმა სერბიელმა მოჰკლა ვიღაც მაჰმადიანი. მაჰმადიანები ემუქრებოდნენ სერბიელებს პრიზრენში ჩავლით სისხლის ასაღებად.—აქაურ სადიპლომატო წრეებში ფიქრობენ, რომ კუნძულ კრიტის კონსტიტუციის გადაკეთება და ზოგიერთ უფლების დათმობა დაამშვიდებს იქაურებს და უარს ათქმევინებს საბერძნეთთან შეერთებაზე. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გაზ. „პრესსის“ ცნობამ, რომ უცხო რეფორმებს პორტა ამ წელიწადში არ შემოიღებს სრულებით მაკედონიაში.

პეტროკოვი, 25 მარტი. „საგუბერნიო უწყებაში“ და ლოძის გაზეთებში დაბეჭდილია გუბერნატორის განცხადება, რომ სამხედრო დროის წესით იქმნება გასამართლებული ყველა, ვინც დაეცემა მემამულეთა სახლებს, დაისაკუთრებს მათს ქონებას, ძალმომრეობას იხმარს მემამულეებზე მათგან სხვადასხვა მოთხოვნილებაზე თანხმობის მისაღებად და წინააღმდეგობას გაუწევს ჯარს, პოლიციას და ადმინისტრაციას.

პარიჟი, 25 მარტი. დელკასსემ დღეს მოკლედ მოახსენა პალატას მაროკკოს საკითხის მდგომარეობა. შეთქმულების საქმეზე გამომძიებელმა რამდენიმე პირის გაჩხრეკა ბრძანა.

ვაშინგტონი, 25 მარტი. ინგლისის პოლკოვნიკმა დიურანდმა ინახულა მინისტრი ტაფტი და იმუსაიფა მასთან მაროკკოს შესახებ. გერმანიის ნოტის გამო ღია კარების შესახებ მან გამოსთქვა ისეთივე აზრი, როგორც საფრანგეთის ელჩმა,—ღია კარების პოლიტიკა ეხლაც მიღებულია მაროკკოში.

ათინა, 26 მარტი. აკროპოლის პართენონში მეფის, მის სახლობის, დიპლომატების, მინისტრების და დეპუტატების თანადასწრებით გაიხსნა არხეოლოგიური კრება. მემკვიდრემ თავის სიტყვაში შეაქო ძველი ელლადა. ტუნისის სალონიკიდან მოსული ცნობა, ვითომ 250 ბერძენს გამოეწვიოს არეულობა მაკედონიაში.

პარიზი, 25 მარტი. ამბობენ, რომ შეთქმულები რომშფორში სახალხონო ჯარის 4 აფიცერს აქეზებდნენ,—მიიღეთ მონაწილეობა შეთქმულებაშიო. ამ აფიცრებს გამომძიებელი ჩვენებას ჩამოართმევს პარიზში.

ბუდაპეშტი, 25 მარტი. პალატამ მიიღო კოშუტის წინადადება ადრესის შესადგენად კომისიის არჩევის შესახებ.

ბელგრადი. გაზ. «სტამბა» იუწყება, სერბიის და ბულგარიის დასებს 19 მარტს ერთმანეთში შეტაკება მოუხდათ. ბულგარელებს [illegible] სერბიელებმაც უკან დაიხიეს დიდის ზარალით.

ვარშავა. ადგილობრივ ოლქის სამართლოსთან არსებულ იურიდიულ კონსულტაციის წევრებმა,—ვექილებმა ლემბინსკიმ, პაპასკიმ და სხ. წარადგინეს გენერალ-გუბერნატორთან მოხსენება პოლონურ ენის შერჩენის შესახებ გმინებში. გენერალ გუბერნატორი დაჰპირდა ამ საქმის გარჩევას.

ხარკოვი. ნოქრების კრებამ გადასწყვიტა წარუდგინონ თავიანთ საჭიროების შესახებ მოხსენება ფინანსთა მინისტრს, გუბერნატორს და ქალაქის მოურავს. ჯერ-ჯერობით კი სთხოვონ პატრონებს შემოიღონ თერთმეტი საათის სამუშაო დღე და კვირაუქმე დღეობით დაჰკეტონ დუქნები.

იალტა თუმცა მღელვარება შესწყდა, მაგრამ ჯარები კიდევ 5 კვირას დარჩებიან ქალაქში.

პეტერბურგი, 26 მარტი. გაზ. „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწედ სამოქალაქო ნაწილში ინიშნება ბ. სულთან კრიმგირეი.

ლაგორი. მიწის ძვრისაგან 2000 კაცზე მეტი მომკვდარა.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ი. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 18 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 08 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის.

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 08 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 28 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვიდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გელეიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამაზოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 26 марта 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.